

სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“  
(ყოფილი შპს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება  
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
მომზადებული აღრიცხვის საერთაშორისო  
სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული და ევროკავშირის  
მიერ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო  
სტანდარტების შესაბამისად

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

## შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	9
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	10

## მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

თანდართულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც წარმოდგენილია 6-დან 47-ე გვერდის ჩათვლით, პასუხისმგებელია სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“ (შემდგომში კომპანია) მენეჯმენტი.


აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს:


- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული და ევროკავშირის მიერ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს ფინანსური აღრიცხვისა და შიდა კონტროლის ეფექტური სისტემები;
- აწარმოოს სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერები ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, კომპანიის აქტივების დასაცავად;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები.

2015 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის მენეჯმენტის მიერ:

  
ვახტანგ დეკანოსიძე  
გენერალური დირექტორი  
სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“

  
რამაზ ხვიჩია  
ფინანსური დირექტორი  
სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“

თარიღი: 2016 წლის 24 თებერვალი



შპს KPMG Georgia  
საქართველო  
თბილისი, 0108,  
ბესიკის ქ. 4.

ტელეფონი +995 (32) 2935695  
ფაქსი +995 (32) 2935713  
ვებ-გვერდი www.kpmg.ge

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“-ს (ყოფილი სს შპს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“) სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“-ს (ყოფილი შპს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტორული შემოწმება, რაც მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ინდივიდუალურ ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, და ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკებისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციის მიმოხილვას.

### მმართველი რგოლის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

მმართველი რგოლი პასუხისმგებელია ევროკავშირის მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მენეჯმენტის თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

### აუდიტორთა პასუხისმგებლობა


ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით, გამოვთქვათ მოსაზრება წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკის ნორმების დაცვას და აუდიტის ისე დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, მათ შორის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოდგენილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებაზე. ხსენებული რისკის შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და მთლიანად, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა


ჩვენი აზრით, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ევროკავშირის მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.



ენდრიუ კოქსშელი  
მმართველი პარტნიორი

შპს „KPMG Georgia“  
24 თებერვალი 2016 წ.


KPMG Georgia LLC




*სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო  
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის  
მდგომარეობით*

'000 ლარი	შენიშვნა	2015	2014
მოზიდული პრემია, ბრუტო	5	28,616	26,996
გადამზღვეველის კუთვნილი პრემია	5	(8,764)	(10,633)
მოზიდული პრემია, ნეტო		19,852	16,363
გამომუშავებული პრემიის რეზერვის ცვლილება	5	(3,275)	8,875
გადაზღვევის წილი გამომუშავებელ პრემიის რეზერვის ცვლილებაში.	5	(442)	3,909
გამომუშავებული პრემია, ნეტო		16,135	29,147
ანაზღაურებული ზარალები, ნეტო	6	(13,800)	(25,178)
ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში, ნეტო	6	469	(438)
ზარალები, ნეტო		(13,331)	(25,616)
სუბროგაცია და შემოსავალი რეგრესიდან		469	323
აკვიზიციური ხარჯები	7	(4,090)	(3,455)
საკომისიო შემოსავალი		1,709	1,735
სადაზღვევო საქმიანობის შედეგი		892	2,134
მოგება საინვესტიციო და სხვა საქმიანობებიდან	8	1,835	1,740
საპროცენტო ხარჯი	8	(778)	(870)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(245)	(326)
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,692)	(1,597)
ზარალი აქტივების გაუფასურებიდან	13	(65)	211
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(53)	1,292
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(181)	(959)
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)		(234)	333

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2016 წლის 24 თებერვალს შემდეგ პირთა მიერ:

  
ვახტანგ დეკანოსიძე  
გენერალური დირექტორი

  
რამაზ ხვიჩია  
ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები მე-10 დან 47-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“**  
 ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2015 წ.	31 დეკემბერი, 2014 წ.
<b>აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	11	4,171	3,460
საინვესტიციო ქონება	12	3,806	3,240
არამატერიალური აქტივები		449	152
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	7	967	1,041
სხვა აქტივები	13	3,065	2,195
ინვესტიცია მეკავშირე კომპანიებში	14	5,600	5,600
გაცემული სესხები		16	18
გადამზღვეველის წილი სადაზღვევო რეზერვებში	18	14,010	16,297
გადავადებული საგადასახადო აქტივები	21	1,784	2,239
სადაზღვევო მოთხოვნები	15	13,580	10,631
ბანკებში განთავსებული თანხები	16	4,235	4,194
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	850	1,946
<b>სულ აქტივები</b>		<b>52,533</b>	<b>51,013</b>
<b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>			
<b>ვალდებულებები</b>			
სადაზღვევო რეზერვები	18	25,333	24,372
სესხები	19	13,531	13,297
დაზღვევის და გადაზღვევის ვალდებულებები	20	5,393	7,186
სხვა ვალდებულებები		628	787
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>44,885</b>	<b>45,642</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	22	11,916	9,405
აკუმულირებული ზარალი		(4,268)	(4,034)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>7,648</b>	<b>5,371</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>52,533</b>	<b>51,013</b>

თანდართული შენიშვნები მე-10 დან 47-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“**  
 ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

'000 ლარი	შენიშვნა	2015	2014
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მიღებული სადაზღვევო პრემიები		25,941	35,675
გადახდილი გადაზღვევის პრემიები		(2,193)	(3,487)
გადახდილი სადაზღვევო ზარალები		(19,056)	(25,233)
სუბროგაცია და შემოსავალი რეგრესიდან		111	426
სხვა აკვიზიციური ხარჯები		(3,333)	(3,072)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		535	566
საკომისიო, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები		(3,396)	(2,932)
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		-	(330)
<b>(ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში</b>		<b>(1,391)</b>	<b>1,613</b>
ბანკებში განთავსებული თანხები		488	627
<b>(ოპერაციებში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(903)</b>	<b>2,240</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან</b>			
ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(378)	(102)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>		<b>(378)</b>	<b>(102)</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>			
სესხების დაფარვა		-	(1,047)
<b>ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>		<b>-</b>	<b>(1,047)</b>
<b>წმინდა (კლება)/მატება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</b>		<b>(1,281)</b>	<b>1,091</b>
ვალუტის კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		185	18
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,946	837
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	17	<b>850</b>	<b>1,946</b>

თანდართული შენიშვნები მე-10 დან 47-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



**სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“**  
 კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი *	აკუმულირებული ზარალი	სულ
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9,405	(4,367)	5,038
<b>სრული შემოსავალი</b>			
წლის მოგება/(ზარალი)	-	333	333
<b>სრული წლიური შემოსავალი</b>	-	<b>333</b>	<b>333</b>
<b>ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>9,405</b>	<b>(4,034)</b>	<b>5,371</b>
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9,405	(4,034)	5,371
<b>სრული შემოსავალი</b>			
წლის მოგება/(ზარალი)	-	(234)	(234)
<b>სრული წლიური შემოსავალი</b>	-	<b>(234)</b>	<b>(234)</b>
საწესდებო კაპიტალის ზრდა*	2,511	-	2,511
<b>ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>11,916</b>	<b>(4,268)</b>	<b>7,648</b>

\* 2015 წლის 23 ნოემბერს, კომპანიამ შეიცვალა იურიდიული სტატუსი და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ნაცვლად გახდა სააქციო საზოგადოება.

## 1 საბაზისო ინფორმაცია

### (a) ძირითადი საქმიანობა

სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“ (შემდგომში კომპანია), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შეიქმნა 2004 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის სახით. კომპანიამ 2015 წლის 23 ნოემბერს შეიცვალა იურიდიული სტატუსი და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ნაცვლად გახდა სააქციო საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, 1060, თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. №88/15. კომპანიის დამფუძნებელს წარმოადგენს „TBIH Financial Services Group N.V.“ (TBIH).

კომპანია ლიცენზირებულია საქართველოში ყველა სახის სადაზღვევო მომსახურების განხორციელების მიზნებისათვის.

კომპანიის მეკავშირე კომპანიაა:

დასახელება	წარმოშობის ქვეყანა	ძირითადი საქმიანობა	საკუთრების %	
			2015	2014
შპს „ჯეო ჰოსპიტალი“	საქართველო	სამედიცინო სერვისი	35%	35%

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა 3 ფილიალი, საიდანაც აწარმოებდა სადაზღვევო საქმიანობას საქართველოს მასშტაბით. 2015 წლის 31 დეკემბერს კომპანიას სრული განაკვეთით დაქირავებული ჰყავდა 215 თანამშრომელი.

კომპანიის შუალედურ დამფუძნებელს წარმოადგენს ვენის სადაზღვევო ჯგუფი „VIENNA INSURANCE GROUP AG Wiener Versicherung Gruppe“, ვენა (შემდგომში „VIG“). კომპანიას სრულად აკონტროლებს „Städtische Wechselseitiger Versicherungsverein – Vermögensverwaltung“ - ვენის სადაზღვევო ჯგუფი, ვენა.

### (b) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, მასზე მოქმედებს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები აქვთ. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სფერო განვითარების პროცესშია; ასევე არსებობს საკითხები, რომლებიც არაერთგვაროვნად ინტერპრეტირდება და მუდმივ ცვლილებებს განიცდიან, რაც საკანონმდებლო და ფინანსურ ბარიერებთან ერთად დამატებით ბარიერებს წარმოშობს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის. ფინანსური ანგარიშები ასახავენ ხელმძღვანელობის მიერ მათ საქმიანობაზე და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ქართული ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელთა შეფასებისგან.

## 2 მომზადების საფუძველი

### (a) დეკლარაცია შესაბამისობის შესახებ

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული და ევროკავშირის მიერ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანია არ ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებას ფასს 10-ზე დაყრდნობით (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება), რადგან ის თავად არის სხვა იურიდიული პირის ნაწილობრივი შვილობილი და მისი სხვა მესაკუთრეები ინფორმირებულნი არიან და არ

ეწინააღმდეგებიან იმ ფაქტს, რომ კომპანია არ ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანიის სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვა არ ხორციელდება საჯარო ბაზარზე. კომპანიას წარსულში არ წარუდგენია თავისი ფინანსური ანგარიშგება ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში და არც ახლა იმყოფება წარდგენის პროცესში, საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ინსტრუმენტების გამოშვების მიზნებისათვის. კომპანიის შუალედური დამფუძნებელი - ვენის სადაზღვევო ჯგუფი, აქვეყნებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო მოხმარებისთვის და შეესაბამება აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ და ევროკავშირის მიერ აღიარებულ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს).

ვენის სადაზღვევო ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნახვა შესაძლებელია ვენის სადაზღვევო ჯგუფის ვებ-გვერდზე [www.vig.com](http://www.vig.com).

**(b) მომზადების საფუძველი**

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

**(c) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა**

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი (შემდგომში „ლარი“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა და ასევე ვალუტა, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად განსაზღვრული შემთხვევებისა.

**(d) გათვლებისა და შეფასებების გამოყენება**

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ევროკავშირის მიერ მიღებული ფასს-ის შესაბამისად მომზადება, მენეჯმენტისგან მოითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან.

შეფასებები და ის მოსაზრებები, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან სისტემატიურად განიხილებიან. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

ინფორმაცია შეფასების მნიშვნელოვანი სფეროების და სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული დასკვნების შესახებ აღწერილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა №4 - სადაზღვევო რისკების მართვა
- შენიშვნა №18 - სადაზღვევო რეზერვები

**3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ქვემოთ განსაზღვრული ყველა სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულ იქნა წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

**(a) ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში**

მეკავშირე საწარმოები ის ორგანიზაციებია, რომელთა ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე ვრცელდება კომპანიის მნიშვნელოვანი გავლენა (და არა კონტროლი). მნიშვნელოვანი გავლენა წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანია მეორე ორგანიზაციაში ფლობს 20-დან 50%-მდე ხმის უფლებას.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება, როგორც ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალი.

**(b) უცხოური სავალუტო ტრანზაქციები**

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში, შესაბამის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით. მონეტარულ აქტივებზე კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში ლარში აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას და პერიოდის ბოლოს არსებული ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, რომელიც დაკორექტირებულია პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და გადახდებით.

არაფულადი აქტივები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე კონვერტიდება ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

კურსთაშორისი სხვაობები აღიარდება მოგებასა და ზარალში.

**(c) სადაზღვევო კონტრაქტები**

**(i) კონტრაქტების კლასიფიკაცია**

კონტრაქტები, რომელთა საფუძველზეც კომპანია მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს იღებს მეორე მხარისგან („დაზღვეული“) და აცხადებს თანხმობას მოახდინოს „დაზღვეულის“ ან სხვა ბენეფიციარის ანაზღაურება თუ ადგილი ექნება კონტრაქტში მითითებულ გაურკვეველ მომავალ მოვლენას („სადაზღვევო შემთხვევა“), რომელიც ნეგატიურად იმოქმედებს „დაზღვეულზე“ ან სხვა ბენეფიციარზე, კლასიფიცირდებიან, როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

სადაზღვევო რისკი არის ფინანსური რისკისგან განსხვავებული სხვა რისკი.

ფინანსური რისკი მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევამ შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის მიერ მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურება. მას შემდეგ, რაც კონტრაქტი კლასიფიცირდება სადაზღვევო კონტრაქტად, ის რჩება ასეთად სანამ ყველა უფლება და ვალდებულება არ იქნება ამოწურული ან ვადაგასული. ისეთი კონტრაქტები, რომელთა საფუძველზეც ხდება დაზღვეულის მიერ უმნიშვნელო სადაზღვევო რისკების კომპანიისთვის გადაცემა, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური საგარანტიო კონტრაქტები აღირიცხულია როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

**(ii) კონტრაქტების აღიარება და შეფასება**

**პრემიები**

ბრუტო მოზიდული პრემია მოიცავს წლის განმავლობაში გამოწერილ პრემიებს, იმის მიუხედავად მთლიანად შეესაბამებინ ისინი ბოლო საანგარიშო პერიოდს თუ ნაწილობრივ. პრემიები ნაჩვენებია შუამავლებისთვის გადასახდელი საკომისიოების ჩათვლით. პრემიის გამომუშავებული ნაწილი აღიარებულია შემოსავლად. პრემიები გამომუშავდება ყოველდღიურად, პოლისის ძალაში შესვლიდან სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში. გადაზღვევის პრემია აღიარებულია ხარჯად ასევე ყოველდღიურ საფუძველზე. გადაზღვევის პრემიის ის ნაწილი, რომელიც არ არის აღიარებული ხარჯად, აღიქმება წინასწარ გაწეულ ხარჯად.

**პოლისის გაუქმება**

პოლისები უქმდება, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ სადაზღვევო პოლისის მფლობელს არ სურს ან არ შეუძლია პოლისით გათვალისწინებული პრემიის გადახდების შემდგომი წარმოება (გაგრძელება). აქედან გამომდინარე, გაუქმება, უმეტესწილად, გავლენას ახდენს იმ პოლისებზე, რომლებთან მიმართებაშიც პრემიის გადახდა ხდება შენატანების სახით პოლისის მოქმედების ვადის განმავლობაში.

**გამომუშავებული პრემიის რეზერვი**

გამომუშავებული პრემიის რეზერვი მოიცავს ბრუტო მოზიდული პრემიის იმ ნაწილს, რომელიც მოსალოდნელია გამომუშავდეს მომდევნო წლების განმავლობაში. იგი გამოთვლილია ცალ - ცალკე ყოველ სადაზღვევო კონტრაქტზე დღიურად (პროპორციულად).

**სადაზღვევო ზარალები**

ნეტო დამდგარი ზარალები მოიცავს საანგარიშგებო წლის განმავლობაში ანაზღაურებულ ზარალებს, ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის ცვლილებასთან ერთად. ასანაზღაურებელი ზარალები მოიცავს საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიის მიერ მომხდარი და გაცხადებული ზარალების საბოლოო შეფასებულ ღირებულებას, ასევე მომხდარი და განუცხადებელი ზარალების საბოლოო ღირებულებას, ზარალების დარეგულირების ანარიცხების ჩათვლით.

ასანაზღაურებელი ზარალები ფასდება ინდივიდუალური ზარალების განხილვის და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვების გათვლებით, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე განჭვრეტადი მოვლენები, ისეთი როგორცაა ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების ცვლილებები, წარსული გამოცდილებები და ტრენდები. ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის დისკონტირება არ ხდება.

წინა წლებში დადგენილი გადაზღვევის და რეგრესების მისაღები თანხები აღიარებულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში, ცალკე როგორც აქტივი. გადაზღვევის და რეგრესების ამოღება დგინდება იმავენაირად, როგორც ასანაზღაურებელი ზარალები.

წინა წელს დარეგულირებული ზარალების ოდენობების კორექტირებები აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდით, როცა კორექტირება არის გაკეთებული და მატერიალურობის შემთხვევაში - ცალკე განმარტებული. გამოყენებული მეთოდების და გათვლების გადახედვა ხდება რეგულარულად.

**(iii) გადაზღვევა**

კომპანია გადაზღვევას ახორციელებს საქმიანობის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში, მისი პოტენციური წმინდა ზარალის ლიმიტირების მიზნით გადამზღვეველებისთვის რისკის ნაწილობრივ გადაცემით. გადამზღვევის ვალდებულება „კომპანიას“ არ ათავისუფლებს თავისი პირდაპირი ვალდებულებებისგან დაზღვეულთა წინაშე.

გადამზღვევის წილი პრემიებში და ანაზღაურებებში წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ბრუტო საფუძველზე.

გადაზღვევის აქტივები მოიცავს მოთხოვნებს გადამზღვეველი კომპანიებიდან გადაზღვეულ სადაზღვევო ვალდებულებებზე. გადაზღვევიდან ამოსაღები თანხების შეფასება შეესაბამება გადაზღვევის პოლიტიკასთან ასოცირებულ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვსა და დარეგულირებულ ზარალებს.

გადაზღვევის მიღებული პრემია აღირიცხება მოზიდული პრემიის ანალოგიურად სადაზღვევო პროდუქტის და სახეობის გათვალისწინებით.

თანხები, რომლებიც ანაზღაურდება გადაზღვევის კონტრაქტების საფუძველზე, ფასდებიან გაუფასურებაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების შედეგის თარიღისთვის. ამგვარი აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა, თუ არსებობს ობიექტური მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველადი აღიარების შემდეგ წარმოშობილი შემთხვევის შედეგად, კომპანიას შეიძლება არ აუნაზღაურდეს ყველა თანხა, რომელიც მასთან მართებთ და როცა შემთხვევას აქვს შეფასებადი გავლენა იმ თანხებზე, რომლებსაც კომპანია გადამზღვეველისგან მიიღებს. გადაზღვევის აქტივებად აღირიცხება მხოლოდ ის კონტრაქტები, რომლებიც ითვალისწინებენ სადაზღვევო რისკის გადაცემას. ის კონტრაქტები, რომლებიც არ ითვალისწინებენ არსებითი სადაზღვევო რისკის გადაცემას აღირიცხება ფინანსური ინსტრუმენტების სახით.

**(iv) გადავადებული აკვიზიციური ხარჯი (DAC)**

ფინანსური პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო აგენტებთან და ბროკერებთან გაწეული საკომისიო და სხვა დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან ან განახლებასთან, გადავადდება მომავალ პერიოდებზე, თუკი ეს ხარჯები დაკავშირებულია მომავალში გამომუშავებულ პრემიებთან. ყველა სხვა აკვიზიციური ხარჯი აღიარდება ხარჯად წარმოშობისთანავე.

პირველადი აღიარების შემდეგ, გადავადებული აკვიზიციური ხარჯები ძირითადი სადაზღვევო და სამედიცინო პროდუქტებისთვის, ამორტიზირდება იმ პერიოდებზე, რომლებშიც გამომუშავდება დაკავშირებული შემოსავლები.

**(v) ვალდებულებების ადეკვატურობის ტესტი**

ყოველი საბალანსო თარიღისთვის, ტარდება ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება, გადავადებული აკვიზიციური ხარჯის აქტივების გამოკლებით გამომუშავებული პრემიების საკმარისობის უზრუნველსაყოფად, მმართველობის ქვეშ არსებული საქმიანობების თითოეული მიმართულებისთვის. შემოწმებისას გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალების მართვის, პოლისის ადმინისტრირებისა და მათ უზრუნველსაყოფად გაწეული საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები. იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა დანაკლისი შესაბამისი გადავადებული აკვიზიციური ხარჯი და შესაბამისი არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება და, საჭიროების შემთხვევაში შეიქმნება დამატებითი რეზერვი (ამოუწურავი რისკების რეზერვი). ამ განსხვავების აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში.

**(vi) სადაზღვევო მოთხოვნები და ვალდებულებები**

სადაზღვევო მოთხოვნები წარმოქმნილი დამზღვევიდან, გადამზღვევლებისგან და აგენტებისგან წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და აღირიცხება როგორც სადაზღვევო მოთხოვნები და ვალდებულებები და არა სადაზღვევო რეზერვებსა ან გადაზღვევის აქტივებში. კომპანია რეგულარულად ახდენს სადაზღვევო მოთხოვნების შეფასებას გაუფასურებაზე.

**(d) ფული და ფულის ეკვივალენტი**

კომპანია ფულად და ფულის ეკვივალენტად აღრიცხავს ხელზე არსებულ ფულად ნაშთებსა და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს სამი ან ნაკლებთვიანი ვადიანობით, რომელთა რეალური ღირებულების ცვლილების რისკი უმნიშვნელოა.

**ფინანსური ინსტრუმენტები**

**(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და შეფასება**

კომპანია თავდაპირველად აღიარებს სესხებს, მოთხოვნებს, საბანკო დეპოზიტებს, ფულსა და ფულის ეკვივალენტებს მათი წარმოშობის დღეს.

სესხები და მოთხოვნები განეკუთვნებიან ფინანსური აქტივების კატეგორიას ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული ფინანსურ ბაზარზე. ასეთი აქტივების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების დამატებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების და მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

სესხები და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს:

- სადაზღვევო მოთხოვნებს, შენიშვნის 15 შესაბამისად.
- მოთხოვნები სუბროგაციიდან, შენიშვნის 13 შესაბამისად.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ასეთი ფინანსური ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, საბანკო ოვერდრაფტებს, დაზღვევის და გადაზღვევის ვალდებულებებს.

**(ii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, მაშინ როდესაც ამოიწურება აღნიშნული აქტივიდან ფულადი სახსრების შემოდინების მიღების უფლება ან კომპანია გადასცემს ფულადი სახსრების შემოდინების უფლებას სხვა მხარეს ისეთ ტრანზაქციაში, რომელშიც არსებითად ყველა რისკი და ფინანსური აქტივის კუთვნილებასთან დაკავშირებული სარგებელი სრულად არის გასხვისებული.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც ბათილდება, წყდება ან ამოიწურება მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

**(iii) გაქვითვა**

ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულების გაქვითვა და ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას მოცემული მომენტისთვის ექნება იურიდიული უფლება გაქვითოს აღიარებული თანხები და ცდილობს მოახდინოს ურთიერთჩათვლა ან გასცეს აქტივები და ამავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

კომპანიას მიმდინარე მომენტისათვის აქვს იურიდიული ძალა მოახდინოს გაქვითვა, თუ ამგვარი უფლება არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენებზე და ხორციელდება, როგორც საქმიანობის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში, ისევე კომპანიის და ყველა კონტრაგენტის მიერ ვალდებულებათა შესრულებლობის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების დროს.

**(iv) რეალური ღირებულების შეფასების პრინციპები**

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის, ყველაზე სარგებლიან ბაზარზე, რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას მოცემული თარიღისთვის. ვალდებულების რეალური ღირებულება ასახავს მისი შესრულებლობის რისკს.

როდესაც შესაძლებელია, კომპანია ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ასახავს აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასების მიხედვით. რეალური ღირებულების კატეგორიზაცია ხდება სხვადასხვა დონეებად, რეალური ღირებულების იერარქიაში, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შემდეგი სახით.

- *დონე 1:* კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები აქტიურ ბაზრებზე, იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* რეალური ღირებულების შეფასების მეთოდები, გარდა დონე 1-ში აღწერილისა, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულების პირდაპირ ან არაპირდაპირ შეფასება
- *დონე 3:* რეალური ღირებულების შეფასების მეთოდი აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს (არამიკვლევადი შემავალი მონაცემები).

თუ აქტივის და ვალდებულების შეფასებისთვის გამოყენებული მონაცემები შეფასების იერარქიის სხვადასხვა დონეს განეკუთვნება, რეალური ღირებულების შეფასება შეფასების იერარქიის იმ დონით განისაზღვრება, რომელსაც განეკუთვნება ამ შეფასებისთვის გამოყენებული მთლიანი შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველაზე ქვედა დონის მონაცემი.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება გარიგების ფასია, ე.ი. გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულება. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულების მტკიცებულება არ ფიქსირდება არც კოტირებული ფასით მსგავსი აქტივისა და ვალდებულებისთვის აქტიურ ბაზარზე და არც შეფასების მეთოდზე დაყრდნობით, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრებიდან მიღებული მონაცემები, ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი შეფასება ხდება თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულებისა და გარიგების ფასის შორის სხვაობის გადავადების მიზნით კორექტირებული რეალური ღირებულებით. შემდგომში ხსენებული სხვაობა სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში ინსტრუმენტის საექსპლუატაციო ვადის



განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს იმ დროისა, როდესაც შეფასება მთლიანად დასტურდება დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებით ან როდესაც დაიხურება გარიგება.

სამართლიანი ღირებულების იერარქიებს შორის ცვლილებას კომპანია აღიარებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როცა ამ ცვლილებას ადგილი ჰქონდა.

**(v) მოგება და ზარალი შემდგომი შეფასებისას**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, შემოსავალი ან ხარჯი მოგება-ზარალში აღიარდება, როდესაც ადგილი აქვს ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტას ან გაუფასურებას, და ასევე ამორტიზაციის პროცესში.

**(e) ძირითადი საშუალებები**

**(i) აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების თანხებით.

ღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება აქტივების შეძენას.

თუ ძირითადი საშუალებები მოიცავს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადას, ისინი აღრიცხებიან, როგორც ძირითადი საშუალებების განცალკევებული აქტივები (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება ან ზარალი, განისაზღვრება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალების მიმდინარე საბალანსო ღირებულებასთან, მათი სხვაობის მოგება ზარალში აღიარებით.

**(ii) ცვეთა**

ძირითადი საშუალებების ცვეთა ირიცხება მათი ინსტალაციის დღიდან და ასევე იმ თარიღიდან, როდესაც ისინი მზად არიან გამოსაყენებლად. ცვეთა ეფუძნება თვითღირებულებას ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა ზოგადად აღიარდება მოგებაში ან ზარალში ძირითადი საშუალების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით, რადგან ის განსაკუთრებული სიზუსტით ასახავს აქტივში გათვალისწინებული მომავალი ეკონომიკური სარგებლების მოხმარების ნიმუშს. მიწას ცვეთა არ ირიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის განისაზღვრება შემდეგი სახით:

- |                                       |           |
|---------------------------------------|-----------|
| • შენობები                            | 50 წელი   |
| • საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა | 5-10 წელი |
| • მანქანები                           | 5 წელი    |
| • სხვა                                | 5 წელი    |

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები განხილულია ყოველ საანგარიშგებო დღეს და, შესაბამის შემთხვევაში, კორექტირდებიან.

**(f) საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირდება ის ქონება, რომელიც გამოიმუშავებს საიჯარო შემოსავალს ან მიმართულია კაპიტალის გაზრდისკენ, ან ორივე ერთად. აღნიშნული მოიცავს ქონებებს მოცემული მომენტისათვის განუსაზღვრელი მომავალი გამოყენებით. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით საოპერაციო ხარჯების ჩათვლით. ღირებულება მოიცავს არსებული საინვესტიციო ქონების გამოსაცვლელი ნაწილის ღირებულებას, როდესაც წარმოიშვება ამგვარი ხარჯი, იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია აღიარების კრიტერიუმები და გამორიცხულია ხარჯები, რომლებიც მის ყოველდღიურ მომსახურებას უკავშირდება. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების დანახარჯების გამოკლებით.

შენიშვნის სასარგებლო მომსახურების ვადა მიმდინარე პერიოდში და შესადარის პერიოდში შეადგენს 50 წელს.

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიური სარგებელის მიღება ნავარაუდევია აღარ არის. აქტივის ბალანსიდან ჩამოწრით მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, როცა აქტივის ჩამოწრა ან გაყიდვა მოხდა.

აქტივების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას აქტივის გამოყენებაში, რაც დასტურდება მესაკუთრეთა საქმიანობით ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის აქტივის გამოყენების დასრულებით და მისი იჯარით გადაცემით სხვა მხარისათვის. აქტივების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას აქტივის გამოყენებაში, ან დასტურდება მესაკუთრის საქმიანობის ან გაყიდვებთან დაკავშირებული განვითარებების დაწყებას.

**(g) არამატერიალური აქტივები**

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების დანახარჯების გამოკლებით.

ამორტიზაცია აქტივებს ერიცხება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად წრფივი მეთოდის გამოყენებით და აღირიცხება მოგება ზარალის ანგარიშგებაში. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება სამიდან-ხუთ წლამდე.

**(h) გაუფასურება**

**(i) ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით**

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით ძირითადად მოიცავს სესხებს და მოთხოვნებს („სესხები და მოთხოვნები“). კომპანია რეგულარულად აფასებს სესხებს და მოთხოვნებს გაუფასურებაზე. სესხები და მოთხოვნები გაუფასურდება და გაუფასურების ზარალი დგება მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ რიგი გარემოებების გამო უნდა შეიცვალოს თავდაპირველად აღიარებული სესხების და მოთხოვნების მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება.

კომპანია განიხილავს ამ აქტივების გაუფასურებას როგორც ინდივიდუალურ, ისე - ერთობლივ დონეზე. ყველა მნიშვნელოვანი აქტივი ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურებაზე. ის აქტივები, რომლებიც არ აღმოჩნდება გაუფასურებული, შემდეგ ერთობლივად ფასდება გაუფასურებაზე, რომელიც წარმოშობილია, მაგრამ ჯერ არ არის იდენტიფიცირებული. აქტივები, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი, კოლექტიურად ფასდება გაუფასურებაზე მსგავსი სარისკო მახასიათებლების მქონე სესხებისა და ვალდებულებების დაჯგუფებით. ინდივიდუალურად შეფასებული სესხები და ვალდებულებები, რომლებთან დაკავშირებითაც უკვე მოხდა გაუფასურების ზარალის აღიარება ან განაგრძობს აღიარებას, არ არის გათვალისწინებული გაუფასურების კოლექტიურ შეფასებაში.

გაუფასურების ზარალი გაანგარიშდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით. ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და ასახება რეზერვის ანგარიშში. თუ კომპანია მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის ანაზღაურების რეალური პერსპექტივა, ჩამოიწერება შესაბამისი თანხები. გაუფასურებული აქტივის პროცენტი განაგრძობს აღიარებას, დისკონტის რეზერვის კლების გამოყენებით. როდესაც შემდგომი მოვლენა წარმოშობს გაუფასურების ზარალის კლებას და კლება შესაძლოა ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების შემდეგ წარმოშობილ მოვლენას, გაუფასურების ზარალის კლება შეიცვლება მოგებასა და ზარალში.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და ისტორიული ზარალის ხარჯები, რომლებიც შესაბამისი დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე იცვლება და ასახავს მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას, საფუძველს ქმნიან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებისთვის.

**(ii) არა ფინანსური აქტივები**

გადავადებული გადასახადების გარდა, სხვა არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშანი. აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება შემდეგი ორი ღირებულებიდან უდიდესი თანხის საფუძველზე: აქტივის გამოყენებითი ღირებულება და მისი რეალური ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება, რომლებიც არ ახდენენ ფულადი ნაკადების გენერირებას, განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

არაფინანსური აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა შემდეგი აღიარდება მოგება ან ზარალში, ხოლო მისი აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულების გამოთვლებში. გაუფასურების ზარალი აღდგება იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს საწყის საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ზარალის აღიარებამდე (ცვეთის და ამორტიზაციის გარეშე).

**(i) ანარიცხები**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხების აღიარება ხდება, როდესაც კომპანიას აქვს წარსული მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, ამავე დროს სავარაუდოა, რომ კომპანიას უწევდეს ვალდებულების დასაფარად ეკონომიკური სარგებლის რესურსების გაცემა და ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შესაძლებელი იყოს. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირების საფუძველზე საპროცენტო განაკვეთით (დაბეგვრამდე), რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულების სპეციფიკურ რისკებს.

**(j) საწესდებო კაპიტალი**

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების და აქციების ოფციონების გამოშვებას, აღიარებულია როგორც კაპიტალის შემცირება, გადასახადებით დაბეგვრის ეფექტის გათვალისწინებით.

**(k) დაბეგვრა**

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, იმ ოდენობის გარდა, რომელიც უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა ერთობლივ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახადი, რომელიც ირიცხება წლის დასაბეგრ მოგებაზე, საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით; ასევე წინა წლის გადასახადებში ცვლილების შედეგად წარმოშობილი გადასახადელი.

გადავადებული გადასახადი უზრუნველყოფილია ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობებისთვის. შემდეგი დროებითი სხვაობების უზრუნველყოფა არ ხდება: აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება, რომელიც არ მოქმედებს არც საანგარიშგებო და არც საგადასახადო მოგებაზე, ასევე ისეთ შვილობილ კომპანიებში, ფილიალებსა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებულ დროებით სხვაობებზე, რომლებშიც მშობელ კომპანიას შესწევს უნარი გააკონტროლოს დროებითი სხვაობის რევერსირების დრო და შესაძლებელია, რომ დროებითი სხვაობა არ დაბრუნდეს მომავალში. გადავადებული გადასახადის ოდენობა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების გაყიდვას ან დაფარვას საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთების მიხედვით.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მომავალში დასაბეგრი შემოსავლების მიღების ალბათობა, რომელიც მიმართავს შესაძლო იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და კრედიტის გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივი მცირდება, თუ აღარ არის მოსალოდნელი, რომ მოხდება შესაბამისი საგადასახადო შეღავათის რეალიზება.

**(l) საპროცენტო შემოსავალი, ხარჯები, მოსაკრებლები და საკომისიო შემოსავალი**

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარებულია მოგება ან ზარალში მათი დარიცხვისას, აქტივის/ვალდებულების ეფექტური ან მცოცავი საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი მოიცავს ნებისმიერი დისკონტის, პრემიის ან საპროცენტო ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებასა და ვადიანობის დადგომისას მის თანხას შორის სხვაობების ამორტიზებას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

სხვა მოსაკრებლისა და საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

**(m) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არ არის ძალაში შესული**

*რამდენიმე ახალი სტანდარტი, ცვლილება და ინტერპრეტაცია ჯერ ძალაში შესული არ არის 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, ისინი არ არის გამოყენებული წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. ქვემოთ მოყვანილი გაცხადებული ცვლილებები ან სიახლეები იმოქმედებენ კომპანიის საქმიანობაზე. კომპანია აპირებს მიიღოს აღნიშნული სიახლეები მას შემდეგ რაც ისინი შევა ძალაში.*

- ფასს 9, გამოქვეყნებული 2015 წლის ივლისში, ცვლის არსებულ სახელმძღვანელო პრინციპებს ბასს 39-ში (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება). ფასს 9 მოიცავს შესწორებულ განახლებულ რეკომენდაციებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ, მათ შორის ფინანსური აქტივების გაუფასურების გამოსათვლელად ახალი საკრედიტო ზარალის მოდელსა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ მოთხოვნებს. ის ასევე იძლევა რეკომენდაციებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების და აღიარების შეწყვეტის შესახებ ბასს 39-ის საფუძველზე. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის ან მის შემდეგ. ამასთან დაშვებულია მისი ვადაზე ადრე დანერგვა. კომპანია ახდენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 9-ის გამოყენების პოტენციური გავლენის შეფასებას. აღნიშნული სტანდარტი ჯერ არ არის მიღებული ევროკავშირში.
- ფასს 15 ადგენს სტრუქტურულ საფუძვლებს იმისა, თუ რა ოდენობით და როდის უნდა მოხდეს შემოსავლის აღიარება. ის ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების შესახებ არსებულ სახელმძღვანელოს, რომელიც მოიცავს ბასს 18-ს (შემოსავალი), ბასს 11-ს (სამშენებლო კონტრაქტები) და ფაისკ 13-ს (მომხმარებელთა წახალისების პროგრამები).

ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ კომპანია აღიარებს შემოსავალს იმ ოდენობით, რომლის მიღებასაც მოელის მომხმარებლისთვის დაპირებული მომსახურების ან საქონლის მიწოდების შედეგად. ახალი სტანდარტი აწესებს ახალ განმარტებით შენიშვნებს შემოსავალთან დაკავშირებით, გვთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს ტრანზაქციებთან დაკავშირებით, რომლებიც ადრე არ იყო სრულად დაფარული და აუმჯობესებს ისეთი გარიგებების აღრიცხვას, რომლებიც შინაარსობრივად მრავალპროფილიანად არის მიჩნეული.

ფასს 15 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია. ახალ სტანდარტს არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნული სტანდარტი ჯერ არ არის მიღებული ევროკავშირში.

- ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), ფაისკ 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორ სააღრიცხვო პრინციპს, რომლებიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურცხავ საოპერაციო ლიზინგს. მიუხედავად ამისა, ადგილი აქვს მხოლოდ საბალანსო ანგარიშგების მოდელს, რომელიც მიმდინარე ფინანსური იჯარის ანალოგიურია.

მეიჯარის აღრიცხვა არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. მეიჯარეები განაგრძობენ ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15-იც (შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან). ეს სტანდარტი ჯერ არ არის ევროკავშირის მიერ დამტკიცებული.

#### 4 სადაზღვევო რისკების მართვა

##### (a) რისკების მართვის მიზნები და სადაზღვევო რისკების შემცირების პოლიტიკები

კომპანიის ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა უკავშირდება ზარალების რისკს, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ფიზიკური პირებისგან ან ორგანიზაციებისგან. ასეთი რისკები უკავშირდება ქონებას, ვალდებულებების შესრულებას, უბედურ შემთხვევას, ჯანმრთელობას, ტვირთს ან სხვა საფრთხეებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სადაზღვევო შემთხვევისგან. ამრიგად კომპანია დგას გაურკვევლობის წინაშე სადაზღვევო კონტრაქტებიდან გამომდინარე ზარალების დროის და სიმძიმის მიხედვით. მთავარი რისკი არის ზარალების ისეთი სიხშირე და სიმძიმე, რომელიც აღემატება მოსალოდნელს. სადაზღვევო შემთხვევები თვისობრივად არის შემთხვევითი და ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში შემთხვევების რეალური რიცხვი და ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს სტატისტიკური ტექნიკური საშუალებებით დადგენილი რიცხვისა და ზომისგან.

სადაზღვევო საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანია ასევე დგას საბაზრო რისკის წინაშე. კომპანია სადაზღვევო რისკებს მართავს დამკვიდრებული სტატისტიკური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რისკების გადაზღვევით, ანდერაიტინგული ლიმიტებით, ტრანზაქციების ავტორიზაციის პროცედურებით, ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო პრინციპებითა და მიმდინარე საკითხების მონიტორინგით.

##### (i) ანდერაიტინგული სტრატეგია

კომპანიის ანდერაიტინგული სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს პორთფელის დივერსიფიკაცია ისე, რომ იგი ყოველთვის შეიცავდეს სხვადასხვა სახეობის არაურთიერთდაკავშირებულ რისკებს და ამავე დროს ყველა სახეობის რისკი გადანაწილებული იყოს პოლისების დიდ რაოდენობაზე. მენეჯმენტის რწმენით, ეს მიდგომა ამცირებს შედეგების ცვალებადობას.

ანდერაიტინგული სტრატეგია განსაზღვრულია ბიზნეს ინსტრუქციებში. სტრატეგია ხორციელდება ანდერაიტინგის გაიდლაინების გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრავენ ანდერაიტინგის დეტალურ წესებს თითოეული პროდუქტისთვის. გაიდლაინები შეიცავენ სადაზღვევო კონცეფციას და პროცედურებს, აღებული რისკის განმარტებებს, ვადებს და პირობებს, უფლებებს და ვალდებულებებს, დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ხელშეკრულების შაბლონებს და პოლისების ნიმუშებს, ტარიფების შესახებ განმარტებებს და სხვა ფაქტორებს, რომლებიც იმოქმედებენ შესაბამის ტარიფებზე. ტარიფების გამოთვლა ეფუძნება ალბათობას და ცვალებადობას.

ანდერაიტინგული გაიდლაინების მოთხოვნების შესრულებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის მენეჯმენტი ოპერატიულ რეჟიმში.

**(ii) გადაზღვევის სტრატეგია**

სადაზღვევო რისკის შემცირების მიზნით, კომპანია იყენებს გადაზღვევის პროგრამას. გადაზღვევის ბიზნესის დიდი ნაწილი ეფუძნება ფაკულტატიურ და ასევე გადაზღვევის კვოტაზე/დანაკარგის ექსცედენტზე დამყარებულ პრინციპს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს კომპანიაზე დატოვებული სადაზღვევო რისკის ლიმიტი ერთ კონტრაქტზე არ აღემატებოდეს კაპიტალის 3%-ს. კომპანია ასევე ყიდულობს პროპორციულ გადაზღვევას დაზღვევის ძირითად სახეობებში, რომელიც იცავს კომპანიას კუმულატიური ზარალებისგან, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ერთი და იმავე სადაზღვევო შემთხვევის შედეგად.

გადაზღვევა მოიცავს საკრედიტო რისკს და ამგვარი გადაზღვევის ანაზღაურება აღირიცხება ცნობილი შეუსაბამოებისა და მიუღებელი ერთეულების შესაძლო დანაკარგების გამოკლებით. კომპანია რეგულარულად ახორციელებს გადამზღვევის კრედიტუნარიანობის შემოწმებას და გადაზღვევის კონტრაქტების შეფასებას.

კომპანია არ იყენებს ლიმიტირებული გადაზღვევის (Stop Loss) პროგრამას.

**(b) სადაზღვევო კონტრაქტების პირობები და დაფარული რისკების ხასიათი**

სადაზღვევო კონტრაქტების პირობები, რომლებსაც მატერიალური გავლენა აქვთ კონტრაქტებიდან გამომდინარე მომავალი ფულადი ნაკადების რაოდენობაზე, ვადიანობასა და განუსაზღვრელობაზე, მოყვანილია ქვემოთ. ამასთან, ეს გვაძლევს კომპანიის მთავარი პროდუქტების და მათგან გამომდინარე რისკების მართვის გზების შეფასების საშუალებას.

**(i) სამედიცინო დაზღვევა**

**პროდუქტის თვისებები**

კომპანიის სადაზღვევო პორტფელის უდიდესი ნაწილი უკავშირდება სამედიცინო დაზღვევას. ეს კონტრაქტები ანაზღაურებენ სამედიცინო ჩარევებს და ჰოსპიტალურ ხარჯებს.

**რისკების მართვა**

სამედიცინო დაზღვევა ფარავს სამედიცინო ჩარევის ძირითად საჭიროებებს. კომპანია რისკებს მართავს უმეტესწილად კორპორატიული პოლისების გამოწერით და სამედიცინო გამოკვლევებით ისე, რომ ფასების განსაზღვრა ითვალისწინებდეს მიმდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობას. გარდა ამისა, კომპანია იყენებს მისი შვილობილი კომპანიის კლინიკებისა და აფთიაქების მომსახურებას, წინასწარ შეთანხმებულ ფასებზე დაყრდნობით.

**(ii) ქონების დაზღვევა**

**პროდუქტის თვისებები**

კომპანია გასცემს ქონების დაზღვევის პოლისებს. ეს მოიცავს როგორც ფიზიკური პირის, ისე - იურიდიული პირის ქონების დაზღვევას. ქონების დაზღვევა დაზღვეულის ანაზღაურებას ახდენს მისი მატერიალური ქონების მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანების ლიმიტის შესაბამისად.

ზარალის გამომწვევი შემთხვევები, რომელიც იწვევს შენობის ან მასში განთავსებული ერთეულების დაზიანებას, ჩვეულებრივ, მოულოდნელად დგება (მაგალითად ხანძარი და ქურდობა) და გამომწვევი მიზეზის დადგენა ადვილად შესაძლებელია. შესაბამისად, ზარალის შესახებ ინფორმირება მომენტალურად ხდება და შეიძლება შეუფერხებლად მოგვარდეს. აქედან

გამომდინარე, ქონებასთან დაკავშირებული ბიზნესი კლასიფიცირებულია მოკლე დროში დარეგულირებად შემთხვევად.

### **რისკების მართვა**

ამ პროდუქტთან დაკავშირებული ძირითადი რისკებია: ანდერაიტინგული რისკი, კონკურენტული რისკი, ზარალების დადგომის რისკი (მათ შორის სხვადასხვაგვარი ბუნებრივი კატასტროფა). კომპანიას ასევე გააჩნია განმცხადებლების მიერ შედეგების ხელოვნურად გაზრდის და არაკეთილსინდისიერი ქმედების რისკი.

ანდერაიტინგული რისკი არის რისკი, რომ კომპანია არ დანიშნავს მის მიერ დაზღვეული სხვადასხვა ქონების შესაბამის სადაზღვევო პრემიას. კერძო ქონების დაზღვევის შემთხვევაში მოსალოდნელია რომ იარსებებს მსგავსი რისკის პროფილის მქონე დიდი რაოდენობით ქონება. თუმცა, შესაძლოა ასე არ იყოს კომერციული საქმიანობის შემთხვევაში. კომერციულ ქონებასთან დაკავშირებული ბევრი შემთავაზება მოიცავს ადგილმდებარეობის, საქმიანობის ტიპისა და ადგილზე არსებული უსაფრთხოების ზომების უნიკალურ კომბინაციას. რისკის შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გაანგარიშება ამ პოლისებისთვის სუბიექტური და, შესაბამისად, რისკის შემცველი იქნება.

რისკების მართვა ძირითადად ხდება ფასების პოლიტიკით და გადაზღვევით. კომპანია იყენებს მკაცრ ანდერაიტინგულ კრიტერიუმებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზარალის რისკი მისაღები იყოს კომპანიისთვის. კომპანია საკუთარი ქონების რისკების გადაზღვევას ახორციელებს დანაკარგის/ზარალის გადამეტების პროგრამით, რაც ამცირებს თითოეულ პოლისზე კომპანიის მოსალოდნელ ზარალს 35 ათას ევრომდე ქონების თითოეული პოლიტიკისთვის.

### **(iii) ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა**

#### **პროდუქტის თვისებები**

საავტომობილო დაზღვევა მოიცავს სრულ დაზღვევას („კასკო“) და მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევას („MTPL“). „კასკოს“ კონტრაქტების მიხედვით იურიდიული და ფიზიკურ პირებს აუნაზღაურდებათ მათი ავტომობილების მთლიანი ან ნაწილობრივი ზიანით მიყენებული ზარალი. „MTPL“-ს მიხედვით ანაზღაურდება მესამე პირის ქონების ზიანით, სიკვდილით ან სხეულის დაზიანებით გამოწვეული მესამე მხარისათვის გადასახდელი კომპენსაცია.

შესაბამისად, საავტომობილო დაზღვევა მოიცავს როგორც მოკლევადიან, ისე - გრძელვადიან ანაზღაურებას. მოკლე დროში დარეგულირებად შემთხვევებად მიიჩნევა დაზღვეულის ავტომობილის მთლიანი ან ნაწილობრივი ზიანით გამოწვეული ზარალების ანაზღაურება. სხეულის დაზიანებით გამოწვეული ზარალების დეტალების დადგენა უფრო რთულია და მოითხოვს მეტ დროს.

### **რისკების მართვა**

ზოგადად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის პოლისებთან დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევების გაცხადების დროითი ინტერვალი უმნიშვნელოა, და შესაბამისად, დაბალია სადაზღვევო ზარალების სირთულე. მთლიანობაში დაზღვევის ამ სახეობის ზარალების ვალდებულებები განეკუთვნება საშუალო რისკს. კომპანია აკვირდება და რეაგირებს აღდგენის და სხეულის დაზიანების ხარჯების, ასევე ქურდობის სიხშირის და უბედური შემთხვევით გამოწვეული ზარალების ტენდენციებზე.



ზარალების სიხშირე გარკვეულწილად დამოკიდებულია ამინდიზე. ზარალების მოცულობა უფრო მაღალია ზამთრის პერიოდში.

საავტომობილო დაზღვევის რისკების მართვა ხორციელდება ზარალების შესახებ საკუთარი სტატისტიკური ბაზის მიხედვით. რისკების გადაზღვევას კომპანია ახორციელებს ფაქულტატური გადაზღვევის კონტრაქტების მეშვეობით, რომლის საფუძველზეც კომპანიის ზარალის ოდენობა თითოეულ შემთხვევაზე არ აღემატება 30-დან 60 ათასამდე აშშ დოლარს.

**(c) სადაზღვევო რისკების კონცენტრაციები**

კომპანიის წინაშე არსებული სადაზღვევო რისკის მთავარი ასპექტი არის სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის ზომა, რომელიც შესაძლოა არსებობდეს ისეთ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ შემთხვევას ან შემთხვევათა ჯგუფს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება წარმოიშვას ერთ სადაზღვევო კონტრაქტზე ან შინაარსობრივად დაკავშირებულ კონტრაქტებზე. სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ რისკი შეიძლება აკუმულირებული იყოს მთელ რიგ ინდივიდუალურ სახეობებში ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტრანშებში.

რისკის კონცენტრაცია შესაძლოა წარმოიშვას იშვიათი და დიდი გავლენის მქონე შემთხვევებიდან, როგორც არის ბუნებრივი კატასტროფები, იმ შემთხვევებში როდესაც ანდერაიტინგი ფოკუსირებულია კონკრეტულ ჯგუფზე, როგორც არის კონკრეტული გეოგრაფიული მდებარეობა.

კომპანიაში რისკების მართვის ორი მთავარი მეთოდი არსებობს. პირველი, რისკის მართვა ხდება შესაბამისი ანდერაიტინგის კუთხით. დაუშვებელია ანდერაიტერმა დაამუშაოს რისკი თუ მოგება არ იქნება რისკის შესაბამისი. მეორე არის გადაზღვევა. კომპანია თავისი საქმიანობის სახვადასხვა სახეობისთვის ყიდულობს გადაზღვევის უზრუნველყოფას. ის აფასებს გადაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სარგებელს მიმდინარე რეჟიმში.

**გადაზღვევის რისკი**

დაზღვევის რისკების შესამცირებლად კომპანია იყენებს გადაზღვევის სხვადასხვა პროგრამებს, რომლებიც ფარავენ ინდივიდუალურ და პორტფელურ რისკებს. აღნიშნული გადაზღვევის პროგრამები ახდენენ რისკების განაწილებას და ამცირებენ ზარალების ეფექტს. კომპანიის მიერ დატოვებული რისკის ოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული რისკის შეფასებაზე, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ აღემატება კაპიტალის 3%-ს თითოეულ პოლისზე.

გადაზღვევის კონტრაქტის შესაბამისად, გადამზღვეველი იძლევა თანხმობას ანაზღაუროს ზარალი მოთხოვნის ანაზღაურების შემთხვევაში. ამასთან, კომპანია ვალდებული რჩება თავისი პოლისის მფლობელთა მიმართ ხსენებულ დაზღვევასთან მიმართებაში, თუ რომელიმე გადამზღვეველი ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

გადამზღვეველის შერჩევისას კომპანია განიხილავს მის გადახდისუნარიანობას, რომელიც დგინდება გადამზღვეველის რეიტინგის და კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

**(d) სადაზღვევო ზარალების დინამიკა**

სადაზღვევო ზარალების დინამიკის წარმოდგენა კომპანიის სადაზღვევო რისკის ილუსტრაციის მიზნით ხდება. ცხრილში მოყვანილი ციფრებით ხდება ზარალის მოხდენის წლის ბაზაზე გადახდილი ზარალების შედარება ამ ზარალებისთვის შექმნილ რეზერვებთან. ცხრილის ზედა ნაწილი აჩვენებს მიმდინარე კუმულატიური ზარალების დაშვებებს და ასევე იმას თუ როგორ შეიცვალა შეფასებული ზარალები მომდევნო ანგარიშგების თუ ზარალის მოხდენის წლის ბოლოსთვის. დაშვებები იზრდება ან კლებულობს იმის საფუძველზე, რომ ხდება ზარალების გადახდა ან უფრო მეტი ინფორმაცია ხდება ცნობილი გადაუხდელი ზარალების სიხშირეზე და სიმძიმეზე. ცხრილის ქვედა ნაწილი გვიჩვენებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენები რეზერვის და კუმულატიური ზარალების შეფასებების შეჯერებას.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია წინა წლებში გაკეთებული გადაუხდელი ზარალების დაშვებების ადეკვატურობაზე ისტორიული პერსპექტივით, მაგრამ ამ ფინანსური ანგარიშგების მკითხველმა თავი უნდა შეიკავოს მიმდინარე ასანაზღაურებელი ზარალების ნაშთებთან მიმართებაში წარსული ხარვეზების ექსტრაპოლაციისაგან. კომპანიას მიაჩნია, რომ დაშვება მთლიან ასანაზღაურებელ ზარალებზე 2015 წლის ბოლოსთვის ადეკვატურია. თუმცა, დარეზერვების პროცესში გარკვეული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე, არ შეიძლება მთლიანად გარანტირებული იყოს ის, რომ ეს ნაშთები ყველა მხრივ ადეკვატური იქნება.

**ზარალების დინამიკის ანალიზი (ბრუტო) - სულ**

შემთხვევის წელი	2011	2012	2013	2014	2015	სულ
აკუმულირებული ზარალების შეფასება	'000 ლარი	'000 ლარი	'000 ლარი	'000 ლარი	'000 ლარი	'000 ლარი
შემთხვევის წლის ბოლოს	19,149	28,282	41,270	30,105	17,322	<b>136,128</b>
ერთი წლის შემდეგ	18,506	27,969	44,450	30,262		-
ორი წლის შემდეგ	18,493	27,966	44,441			-
სამი წლის შემდეგ	18,514	28,088				-
ოთხი ოთხი წლის შემდეგ	18,643					-
დაურეგულირებელი ზარალები	<b>18,643</b>	<b>28,088</b>	<b>44,441</b>	<b>30,262</b>	<b>17,322</b>	<b>138,756</b>
დაურეგულირებელი ზარალები ზარალები 2011 წლამდე						<b>225</b>
სულ 2015 წლის 31 დეკემბრამდე გადახდილი ზარალები	<b>18,060</b>	<b>27,453</b>	<b>40,408</b>	<b>29,210</b>	<b>14,123</b>	<b>129,254</b>
ბრუტო დაურეგულირებელი ზარალების ვალდებულებები	<b>583</b>	<b>635</b>	<b>4,033</b>	<b>1,052</b>	<b>3,199</b>	<b>9,727</b>

მენეჯმენტს არ გაუცია 2011 წლამდე პერიოდის ინფორმაცია, ვინაიდან, პოლისების პირობებიდან გამომდინარე, არსებითად არ არსებობდა მატერიალური განუსაზღვრელობა ზარალების თანხების მოცულობასა და დროულობასთან დაკავშირებით 2011 წლამდე პერიოდთან მიმართებაში.

## 5 პრემიები

2015 '000 ლარი	სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა*	კორპორატიული სამედიცინო დაზღვევა	ქონების დაზღვევა	კასკო	MTPL	აგრო	სხვა	სულ
მოზიდული პრემია ბრუტო	-	14,231	5,827	3,394	469	300	4,395	28,616
ცვლილება გამოუმუშავებელ პრემიის რეზერვში (ბრუტო)	-	(3,057)	(597)	(368)	(38)	1,509	(724)	(3,275)
<b>ბრუტო გამომუშავებული პრემია</b>	-	<b>11,174</b>	<b>5,230</b>	<b>3,026</b>	<b>431</b>	<b>1,809</b>	<b>3,671</b>	<b>25,341</b>
მინუს: გადამზღვევის კუთვნილი პრემია მოზიდულ პრემიაში ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის გადაზღვევის წილში	-	-	(4,840)	(160)	(51)	(300)	(3,413)	(8,764)
გადაზღვევის წილი გამომუშავებულ პრემიებში	-	-	(4,454)	(126)	(42)	(1,809)	(2,775)	(9,206)
<b>ნეტო გამომუშავებული პრემიები</b>	-	<b>11,174</b>	<b>776</b>	<b>2,900</b>	<b>389</b>	-	<b>896</b>	<b>16,135</b>
<b>2014 '000 ლარი</b>								
მოზიდული პრემია ბრუტო	(1,020)	12,598	5,241	2,998	441	3,087	3,651	26,996
ცვლილება გამოუმუშავებელ პრემიის რეზერვში (ბრუტო)	13,305	(115)	(1,029)	(361)	(76)	(1,511)	(1,338)	8,875
<b>ბრუტო გამომუშავებული პრემია</b>	<b>12,285</b>	<b>12,483</b>	<b>4,212</b>	<b>2,637</b>	<b>365</b>	<b>1,576</b>	<b>2,313</b>	<b>35,871</b>
მინუს: გადამზღვევის კუთვნილი პრემია მოზიდულ პრემიაში ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის გადაზღვევის წილში	-	-	(4,598)	(121)	(39)	(3,087)	(2,788)	(10,633)
გადაზღვევის წილი გამომუშავებულ პრემიებში	-	-	(3,719)	(139)	(26)	(1,576)	(1,264)	(6,724)
<b>ნეტო გამომუშავებული პრემიები</b>	<b>12,285</b>	<b>12,483</b>	<b>493</b>	<b>2,498</b>	<b>339</b>	-	<b>1,049</b>	<b>29,147</b>

\* 2014 წლის 1 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ სრულად გააუქმა ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევა.

## 6 ზარალები

2015 '000 ლარი	სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა	კორპორატიული სამედიცინო დაზღვევა	ქონების დაზღვევა	კასკო	MTPL	აგრო	სხვა	სულ
დარეგულირებული ზარალები	-	10,877	721	2,163	226	3,304	3,319	20,610
გადამზღვეველის წილი დარეგულირებულ ზარალებში	-	-	(510)	(28)	-	(3,291)	(2,981)	(6,810)
<b>დარეგულირებული ზარალები, გადაზღვევის წილის გამოკლებით</b>	-	<b>10,877</b>	<b>211</b>	<b>2,135</b>	<b>226</b>	<b>13</b>	<b>338</b>	<b>13,800</b>
ცვლილება გაცხადებულ, მაგრამ	-	-	691	(37)	(9)	(76)	(2,703)	(2,134)
დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში ცვლილება მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვში ცვლილება	-	(180)	-	-	-	-	-	(180)
გადამზღვეველის წილში	-	-	(741)	-	-	76	2,510	1,845
<b>სულ სადაზღვევო რეზერვების ცვლილება ნეტო დამდგარი ზარალები</b>	-	<b>(180)</b>	<b>(50)</b>	<b>(37)</b>	<b>(9)</b>	-	<b>(193)</b>	<b>(469)</b>
	-	<b>10,697</b>	<b>161</b>	<b>2,098</b>	<b>217</b>	<b>13</b>	<b>145</b>	<b>13,331</b>
<b>2014 '000 ლარი</b>								
დარეგულირებული ზარალები	12,104	10,772	200	1,658	333	47	726	25,840
გადამზღვეველის წილი დარეგულირებულ ზარალებში	-	-	(179)	-	-	(47)	(436)	(662)
<b>დარეგულირებული ზარალები, გადაზღვევის წილის გამოკლებით</b>	<b>12,104</b>	<b>10,772</b>	<b>21</b>	<b>1,658</b>	<b>333</b>	-	<b>290</b>	<b>25,178</b>
ცვლილება გაცხადებულ, მაგრამ	(101)	600	4,433	81	10	1,230	2,127	8,380
დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში ცვლილება მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვში ცვლილება	-	(163)	-	-	-	-	-	(163)
გადამზღვეველის წილში	-	-	(4,347)	-	-	(1,230)	(2,202)	(7,779)
<b>სულ სადაზღვევო რეზერვების ცვლილება ნეტო დამდგარი ზარალები</b>	<b>(101)</b>	<b>437</b>	<b>86</b>	<b>81</b>	<b>10</b>	-	<b>(75)</b>	<b>438</b>
	<b>12,003</b>	<b>11,209</b>	<b>107</b>	<b>1,739</b>	<b>343</b>	-	<b>215</b>	<b>25,616</b>

2014 წელს კომპანიას თავის მეკავშირე კომპანიასთან - შპს „ჯეოჰოსპიტალი“ გაფორმებული ჰქონდა კაპიტაციის კონტრაქტი სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც შპს „ჯეოჰოსპიტალს“ უხდიდა ფიქსირებულ თანხას თითოეულ დაზღვეულზე, ფაქტობრივად მომხდარი ზარალების ოდენობის მიუხედავად. შესაბამისად, ზარალები და მასთან დაკავშირებული დარეგულირების ხარჯები სრულად იფარებოდა შპს „ჯეოჰოსპიტალის“ მიერ.

## 7 აკვიზიციური ხარჯები

	2015 '000 ლარი	2014 '000 ლარი
დაზღვევის საკომისიოს ხარჯი	684	946
სხვა აკვიზიციური ხარჯები	3,332	3,072
<b>აკვიზიციური ხარჯები სულ</b>	<b>4,016</b>	<b>4,018</b>
ცვლილება გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯებში	74	(563)
<b>აკვიზიციური ხარჯები წლის მანძილზე</b>	<b>4,090</b>	<b>3,455</b>

### გადავადებული აკვიზიციური ხარჯების მოძრაობის ანალიზი

	2015 '000 ლარი	2014 '000 ლარი
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები წლის დასაწყისში	1,041	478
ცვლილება აკვიზიციურ ხარჯებში	(74)	563
<b>გადავადებული აკვიზიციური ხარჯები წლის ბოლოს</b>	<b>967</b>	<b>1,041</b>

## 8 საინვესტიციო და სხვა შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

	2015 '000 ლარი	2014 '000 ლარი
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>		
გაცემული სესხები	3	3
ბანკებში განთავსებული თანხები	237	265
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>240</b>	<b>268</b>
<b>სხვა საინვესტიციო შემოსავალი/(ხარჯები)</b>		
საკურსო სხვაობასთან დაკავშირებული მოგება/(ზარალი)	(787)	673
მოგება/(ზარალი) სავალუტო ფორვარდის კონტრაქტიდან	700	(693)
შემოსავალი იჯარიდან	240	202
შენიშნის გაუფასურების რეზერვის შემცირება (შენიშვნა 11 და 12)	1,409	1,288
სხვა	33	2
<b>სულ საპროცენტო და სხვა საინვესტიციო შემოსავალი</b>	<b>1,595</b>	<b>1,472</b>
<b>საპროცენტო ხარჯი – გაცემული და აღებული სესხები</b>	<b>(778)</b>	<b>(870)</b>

## 9 ადმინისტრაციული ხარჯები

	2015 '000 ლარი	2014 '000 ლარი
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	1,266	1,156
საოფისე ხარჯები	212	225
ცვეთა და ამორტიზაცია	119	115
იურიდიული და სხვა მომსახურების ხარჯები	50	58
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	45	43
<b>სულ ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b>1,692</b>	<b>1,597</b>

## 10 მოგების გადასახადი

კომპანიის მოქმედ საგადასახადო განაკვეთს წარმოადგენს მოგების გადასახადი – 15% (2014: 15%).

	2015	2014
	'000 ლარი	'000 ლარი
<b>მიმდინარე გადასახადის ხარჯი</b>		
გასული პერიოდების კორექტირება	(274)	612
	(274)	612
<b>გადავადებული გადასახადის ცვლილება</b>		
დროებითი სხვაობის წარმოშობა და გაუქმება	455	347
<b>სულ მოგების გადასახადის ხარჯი/(შემოსავალი)</b>	<b>181</b>	<b>959</b>

მოქმედი საგადასახადო განაკვეთის შედარება:

	2015	2014
	'000 ლარი	'000 ლარი
მოგება/(ზარალი) გადასახადამდე	(53)	1,292
მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო ტარიფით	(8)	194
გამოუქვითავი ხარჯი	72	153
გადავადებული საგადასახადო აქტივის შემცირებით გამოწვეული ცვლილება გამოქვითვად დროებით სხვაობებში	391	-
გასული პერიოდების კორექტირება	(274)	612
	<b>181</b>	<b>959</b>

## 11 ძირითადი საშუალებები

2015 '000 ლარი	მიწა და შენობები	კომპიუტერული აღჭურვილობა	ავტომანქანები	ავეჯი და მოწყობილობა	სულ
<i>ფასი</i>					
2015 წლის 1 იანვარს	3,613	619	84	416	4,732
დამატებები	-	38	-	35	73
გაუფასურების შესწორება	775	-	-	-	775
<b>2015 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>4,388</b>	<b>657</b>	<b>84</b>	<b>451</b>	<b>5,580</b>
<i>ამორტიზაცია</i>					
1 იანვარი, 2015	493	515	49	215	1,272
ცვეთის ხარჯი	73	32	5	27	137
<b>2015 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>566</b>	<b>547</b>	<b>54</b>	<b>242</b>	<b>1,409</b>
<i>ნაშთის საბალანსო ღირებულება</i>					
<b>2015 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>3,822</b>	<b>110</b>	<b>30</b>	<b>209</b>	<b>4,171</b>
2014 '000 ლარი	მიწა და შენობები	კომპიუტერები	ავტომანქანები	ავეჯი და მოწყობილობა	სულ
<i>ფასი</i>					
2014 წლის 1 იანვარს	2,881	569	84	362	3,896
დამატებები	24	50	-	54	128
გაუფასურების შესწორება	708	-	-	-	708
<b>2014 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>3,613</b>	<b>619</b>	<b>84</b>	<b>416</b>	<b>4,732</b>
<i>ამორტიზაცია</i>					
1 იანვარი, 2014	400	474	39	190	1,103
ცვეთის ხარჯი	93	41	10	25	169
<b>2014 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>493</b>	<b>515</b>	<b>49</b>	<b>215</b>	<b>1,272</b>
<i>ნაშთის საბალანსო ღირებულება</i>					
<b>2014 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>3,120</b>	<b>104</b>	<b>35</b>	<b>201</b>	<b>3,460</b>

2015 წელს, ადგილობრივი ვალუტაში კომერციული ქონების ღირებულების შედარებითი გაუმჯობესების გამო, კომპანიამ დაიქირავა დამოუკიდებელი ექსპერტი თავისი შენობის რეალური ღირებულების შესაფასებლად (გასაყიდი ღირებულების გამოკლებით), რომელთან დაკავშირებითაც წინა წლებში აღიარებულ იქნა გაუფასურება. შეფასების შედეგად გაუფასურების ანარიცხი კომპანიის მიერ დაქავებული შენობის ნაწილისთვის შემცირდა 775 ათასი ლარით (2014: 708 ათასი ლარი) და 634 ათასი ლარის ოდენობით (2014: 580 ათასი ლარი) შენობის საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული ნაწილისთვის.

აღნიშნული რეალური ღირებულება ფასთა იერარქიის მე-3 კატეგორიას განეკუთვნება.

რეალური ღირებულება განისაზღვრა უახლესი ტრანსაქციების საბაზრო ღირებულებით ან ანალოგიურ ქონების გასაყიდი ფასით. ექსპერტის მიერ გაკეთებული ძირითად დაშვებებს საბაზრო ფასთან მიმართებაში წარმოადგენდა თბილისის ცენტრში ანალოგიური მდებარეობის და მდგომარეობის კომერციული ქონების ერთი კვადრატული მეტრის ღირებულება.

ექსპერტმა მოახდინა შენობის განმასხვავებელი არაშესადარისი მახასიათებლების კორექტირება 0-30%-ით შესადარისი ტრანსაქციის ან გაყიდვის ფასთან მიმართებაში.

\* 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 3,781 ათასი ლარის შენობები დაგირავებულია დაკავშირებულ მხარესთან სესხის უზრუნველყოფის მიზნით (2014: 3,065 ათასი ლარი).

## 12 საინვესტიციო ქონება

<i>ფასი</i>	<b>2015</b>	<b>2014</b>
	<b>'000 ლარი</b>	<b>'000 ლარი</b>
1 იანვარი	3,240	2,749
გაუფასურების შესწორება (შენიშვნა 11)	634	580
ცვეთა	(68)	(89)
<b>31 დეკემბერი</b>	<b>3,806</b>	<b>3,240</b>

მენეჯმენტის შეფასებით მიწის რეალური ღირებულება დაახლოებით იგივეა რაც მისი საბალანსო ღირებულება. რეალური ღირებულება მიეკუთვნება რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეს, გამოყენებული დაკვირვებადი მონაცემების მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებების გამო. რეალური ღირებულება განსაზღვრულია საბაზრო ფასებზე დაყრდნობით, რაც ეფუძნება ბოლო გარიგებებს ბაზარზე ან გამოცხადებულ ფასებს მსგავს ქონებაზე (შენიშვნა 11).

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 3,093 ათასი ლარის საინვესტიციო ქონება დაგირავებულია დაკავშირებულ მხარესთან სესხის უზრუნველყოფის მიზნით (2014: 2,508 ათასი ლარი).

## 13 სხვა აქტივები

	<b>2015</b>	<b>2014</b>
	<b>'000 ლარი</b>	<b>'000 ლარი</b>
მოთხოვნები სუბროგაციიდან	3,351	3,249
ბანკებში განთავსებულ თანხებზე დარიცხული პროცენტი	12	13
თანამშრომლებზე გაცემული ავანსები	25	18
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	57	-
„სახალხო აფთიაქზე“ გაცემული ავანსი	221	393
მოთხოვნები არაკონვერტირებადი სავალუტო კონტრაქტიდან	560	10
სხვა	570	697
	<b>4,796</b>	<b>4,380</b>
გაუფასურების რეზერვი	(1,731)	(2,185)
	<b>3,065</b>	<b>2,195</b>



**გაუფასურების რეზერვის მოძრაობის ანალიზი**

	2015 <u>'000 ლარი</u>	2014 <u>'000 ლარი</u>
ნაშთი წლის დასაწყისში	2,185	2,396
დაქვითვა	(520)	-
წმინდა ხარჯები/ანაზღაურება წლის განმავლობაში	66	(211)
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b><u>1,731</u></b>	<b><u>2,185</u></b>

**14 ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში**

	2015 <u>ლარი'000</u>	საკუთრება <u>%</u>	2014 <u>ლარი'000</u>	საკუთრება <u>%</u>
შპს „ჯეოჰოსპიტალსი“	5,600	35	5,600	35

მეკავშირე კომპანიის ბიზნეს საქმიანობის ადგილი და რეგისტრაციის ქვეყანა საქართველოა. 2013 წლის ნოემბერში კომპანიამ ჩადო წილის 35% შპს „ჯეო ჰოსპიტალში“ TBIH-დან აღებული სესხის უზრუნველყოფად.

**15 სადაზღვევო მოთხოვნები**

	2015 <u>'000 ლარი</u>	2014 <u>'000 ლარი</u>
პირდაპირი სადაზღვევო ოპერაციებიდან წარმომობილი მოთხოვნები	15,602	12,014
სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(2,022)	(1,383)
	<b><u>13,580</u></b>	<b><u>10,631</u></b>

**სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების მოძრაობის ანალიზი:**

	2015 <u>'000 ლარი</u>	2014 <u>'000 ლარი</u>
ნაშთი წლის დასაწყისში	1,383	2,396
ჩამოწერა	-	(1,211)
ხარჯი წლის განმავლობაში	639	198
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b><u>2,022</u></b>	<b><u>1,383</u></b>

კომპანიას არ წარმოეშვება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკები სადაზღვევო მოთხოვნებიდან, ვინაიდან პოლისების გაუქმებისას შესაბამისად უქმდება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ სადაზღვევო პოლისის მფლობელს არ სურს ან არ შეუძლია გააგრძელოს პოლისით გათვალისწინებული პრემიების გადახდა.

კომპანია ქმნის დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვს მათი ვადაგადაცილების ანალიზის საფუძველზე. კლიენტი ასევე ქმნის სპეციფიურ რეზერვებს, როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ კონტრაგენტის გადახდის უუნარობაზე.

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია სადაზღვევო მოთხოვნები ვადაგადაცილებების მიხედვით 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ლარი '000	ბრუტო 2015	გაუფასურება 2015	ბრუტო 2014	გაუფასურება 2014
არა ვადაგადაცილებული	10,563	-	8,194	-
ვადაგადაცილებული: 0- 30 დღე	2,667	-	2,108	-
ვადაგადაცილებული: 31-60 დღე	77	(15)	116	(23)
ვადაგადაცილებული: 61-90 დღე	73	(22)	138	(41)
ვადაგადაცილებული: 91-120 დღე	58	(29)	32	(16)
ვადაგადაცილებული: 121-365 დღე	520	(312)	308	(185)
ვადაგადაცილებული ერთ წელზე მეტი ხნით	1,644	(1,644)	1,118	(1,118)
	<b>15,602</b>	<b>(2,022)</b>	<b>12,014</b>	<b>(1,383)</b>

## 16 ბანკებში განთავსებული თანხები

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
ვადიანი დეპოზიტები	<b>4,235</b>	<b>4,194</b>

ბანკებში განთავსებული თანხები შედგება საბანკო დეპოზიტებისაგან; არც ერთი მათგანი არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული.

### ბანკებში განთავსებული თანხების კონცენტრაცია

2015 წლის 31 დეკემბრისა და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკებში განთავსებული თანხები, რომლებიც ინდივიდუალურად წარმოადგენს ბანკებში განთავსებათა 10%-ზე მეტს, წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2015 '000 ლარი	2014 '000 ლარი
კორსტანდარტ ბანკი	1,223	1,404
ბანკი რესპუბლიკა	2,499	2,404
<b>სულ</b>	<b>3,722</b>	<b>3,808</b>

## 17 ფული და ფულის ეკვივალენტები

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
ნაღდი ფული სალაროში	26	26
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	824	1,920
<b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტი</b>	<b>850</b>	<b>1,946</b>

საბანკო ნაშთები შედგება ბანკებში არსებული ანგარიშებისაგან; არც ერთი მათგანი არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული.

## 18 სადაზღვევო რეზერვები

	2015 წელი '000 ლარი			2014 წელი '000 ლარი		
	ბრუტო	გადაზღვევა	ნეტო	ბრუტო	გადაზღვევა	ნეტო
გამომუშავებული პრემია	15,606	(5,930)	9,676	12,331	(6,372)	5,959
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი	134	-	134	314	-	314
გაცხადებული ზარალების რეზერვი	9,593	(8,080)	1,513	11,727	(9,925)	1,802
<b>სულ სადაზღვევო რეზერვები</b>	<b>25,333</b>	<b>(14,010)</b>	<b>11,323</b>	<b>24,372</b>	<b>(16,297)</b>	<b>8,075</b>

### (a) გამომუშავებული პრემიის რეზერვის მოძრაობის ანალიზი (გადაზღვევის ჩათვლით)

	2015 '000 ლარი	2014 '000 ლარი
ნაშთი 1 იანვრისთვის	12,331	21,206
ბრუტო მოზიდული პრემია (შენიშვნა 5)	28,616	26,996
ბრუტო გამომუშავებული პრემია (შენიშვნა 5)	(25,341)	(35,871)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>15,606</b>	<b>12,331</b>

### (b) ზარალების რეზერვის მოძრაობის ანალიზი (გადაზღვევის ჩათვლით)

	2015 '000 ლარი	2014 '000 ლარი
ნაშთი 1 იანვრისთვის	12,041	3,824
მიმდინარე წლის ზარალების მოსალოდნელი ხარჯი (შენიშვნა 4)	17,322	30,105
ცვლილება შეფასებასა და ანგარიშსწორებაში წინა წლების ზარალებთან მიმართებაში	(103)	3,163
მიმდინარე წლის განმავლობაში გადახდილი ზარალები	(19,533)	(25,051)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>9,727</b>	<b>12,041</b>

### (c) დაშვებები და სენსიტიურობა

#### დაშვებათა განსაზღვრის პროცესი

დაშვებები, რომლებსაც იყენებენ სადაზღვევო აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად, გამიზნულია რეზერვების საკმარისი რაოდენობის უზრუნველსაყოფად, ნებისმიერი ვალდებულების დაფარვის მიზნით, რომლებიც წარმოიშვება სადაზღვევო კონტრაქტებიდან გონივრული გათვალისწინების ფარგლებში.

თუმცა, სავარაუდოა, რომ საბოლოო შედეგი იყოს განსხვავებული თავდაპირველად დადგენილი რეზერვის ოდენობისგან, იქიდან გამომდინარე, რომ შეუძლებელია საბოლოო სადაზღვევო რეზერვების საკმარისი სიზუსტით განსაზღვრა.

რეზერვები იქმნება საანგარიშგებო თარიღისთვის და განისაზღვრება საანგარიშო თარიღისთვის მომხდარი (მიუხედავად იმისა გაცხადებულია თუ არა) ზარალების ოდენობით, ზარალების დარეგულირების ხარჯის ჩათვლით და უკვე ანაზღაურებული ზარალების გამოკლებით.

ზარალების რეზერვების დისკონტირება არ ხორციელდება.

შეფასებები ძირითადად ეფუძნება კომპანიის საკუთარ ინფორმაციას. დეტალური კვლევები ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც, რათა დადგინდეს, რომ შეფასებები შეესაბამება ბაზარზე არსებულ ინფორმაციას და სხვა გამოქვეყნებულ ინფორმაციას.

RBNS შექმნილია უკვე გაცხადებული ზარალებისთვის და მოიცავს მათთან დაკავშირებულ დარეგულირებისა და მართვის ხარჯებსაც. მათი მოცულობა ეფუძნება ზარალების ინდივიდუალურ შეფასებას, კომპანიის ექსპერტებისა და ზარალების მართვის დეპარტამენტების შეხედულებისამებრ.

მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების (IBNR) რეზერვის დათვლა ხდება დაზღვევის სტატისტიკოსების მიერ.

კომპანია IBNR რეზერვის დათვლისას ასევე იყენებს აქტუარულ მეთოდებს. IBNR-ის აქტუარული გამოთვლის მეთოდი მოიცავს ისეთ კალკულაციებს, როგორც არის „ჯაჭვის კიბე“ (CHAIN LADDER) და საშუალო გადახდას თითოეული ზარალის ტიპისთვის ან, ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება ზარალიანობის კოეფიციენტის მეთოდი, თუ სტატისტიკური მეთოდი არ ამართლებს. დაზღვევის სტატისტიკოსები იყენებენ დაშვებებს იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც მათ დაუგროვდათ გადახდილი ზარალების, ზარალების რაოდენობისა და საშუალო მაჩვენებლების სახით. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ქვემოთ.

ასანაზღაურებელი ზარალების შესაფასებლად ან ზარალების დეპარტამენტისთვის თითოეული ზარალზე გათვალისწინებული რეზერვის შესაქმნელად IBNR-სთვის, ხდება ქვემოთ განმარტებული სტატისტიკური მოდელების გამოყენება სხვადასხვა დაშვებებთან კომბინაციაში:

- ჯაჭვის კიბე (Chain Ladder): ეს მეთოდი ეფუძნება ზარალების ისტორიას (ანაზღაურებების სიხშირე და/ან პრეტენზიების სიხშირე, ზარალების რაოდენობა და ა.შ.) ამჟამინდელი და სამომავლო ზარალების სავარაუდო გაცხადების შესაფასებლად. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ითვალისწინებს შესაბამისი რეზერვის შექმნას იმ ზარალებისთვის, რომლებიც გაცხადდება ზარალის მოხდენიდან ან პოლისის გაცემიდან საკმარისი დროის გასვლის შემდეგ და მაშინ, როდესაც დაგროვილი იქნება საკმარისი ინფორმაცია არსებული ზარალებიდან, მთლიანი მოსალოდნელი ზარალების შეფასების მიზნით.
- ბომჰუტერ–ფერგიუსონი (ან მისი მოდიფიცირებული ვერსია): ეს მეთოდი აერთიანებს კომპანიისთვის, ან სადაზღვევო პროდუქტისათვის ცნობილ ადრეულ პირობით მაჩვენებლებს, და თავად ზარალზე დაფუძნებულ, დამატებით პირობით მაჩვენებლებს. ადრეული მიახლოებითი მაჩვენებლები იყენებენ პრემიების და დანაკარგების ინდექსს ზარალების საერთო რაოდენობის შესაფასებლად. მეორე პირობითი მაჩვენებელი იყენებს ზარალების ფაქტობრივი რაოდენობის გამოცდილებას, რომელიც სხვა მეთოდით (მაგალითად ჯაჭვისებრი კიბით) დაანგარიშდება. ზარალების გაერთიანებული შეფასებისას ხდება ორივე პირობითი მაჩვენებლის გაანალიზება, თუმცა ფაქტობრივი არსებული ზარალებს გამოცდილებას მეტი წონა ენიჭება, და დროთა განმავლობაში, გროვდება ზარალებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ყველაზე შესაფერისია მიმდინარე პერიოდისთვის, თუ არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია ზარალების შესახებ, იმ სადაზღვევო პროდუქტებში, რომლებიც ახალია ან რომლებთან დაკავშირებითაა არასაკმარისი ისტორიული სტატისტიკური ინფორმაცია არსებობს.
- საშუალო ანაზღაურება ზარალზე: მაშინ როდესაც ბომჰუტერ–ფერგიუსონის მეთოდის გამოყენება შეუძლებელია, უკანასკნელ პერიოდში ზარალების ისტორიის უკმარისობის გამო, გამოიყენება ისტორიული საშუალო არითმეტიკულის მეთოდი. ამ მეთოდში, ინფორმაცია გამოითვლება ზარალების პროგნოზირებად რიცხვზე დაყრდნობით (ჯაჭვისებური კიბის მეთოდი) და ზარალების ისტორიული საშუალო მოცულობით.

მსხვილი ზარალების შეფასება ხდება ინდივიდუალურად და ფასდება თითოეული შემთხვევისთვის, ცალ-ცალკე. იმისთვის, რომ აცილებულ იქნას მათი შესაძლო უარყოფითი ეფექტი აღწერილი ზარალების დინამიკასთან მიმართებაში.

თავდაპირველად განისაზღვრება მომხდარი და განუცხადებელი ზარალების რეზერვის და ზარალების გაცხადებული რეზერვის ბრუტო ოდენობა. ცალკე განისაზღვრება გადაზღვევის მოცულობა, რათა დადგინდეს მომხდარი და განუცხადებელი ზარალების რეზერვის გადაზღვევის წილის ოდენობა.

### **დაშვებები**

სადაზღვევო რეზერვების დათვლისას უკანასკნელი წლების ზარალიანობის მაჩვენებელს ყველაზე დიდი ეფექტი აქვს. მოსალოდნელი ზარალიანობის მაჩვენებელი არის მოსალოდნელი ზარალების შეფარდება გამომუშავებულ პრემიასთან. ვალდებულებების განსაზღვრისას ფულადი სახსრების მოძრაობის დაგეგმვა მოიცავს იმ პარამეტრების დაგეგმვას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ ინდივიდუალური ზარალის ოდენობაზე (მაგ: ზარალების მოხდენის სიხშირე, სადაზღვევო კონტრაქტთან დაკავშირებული რისკი - სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული სიკვდილი, ზარალის ამოღების დრო, პერიოდი სადაზღვევო შემთხვევის წარმოშობიდან მის დარეგულირებამდე).

### **მგრძობიარობის ანალიზი**

მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ბიზნესის მოკლევადიანი ბუნების გამო, ძირითადად კომპანიის პორტფელის შედეგი მგრძობიარეა ზარალიანობის მაჩვენებლის ცვლილების მიმართ. კომპანია რეგულარულად ახორცილებს სადაზღვევო ტარიფების კორექტირებას აღნიშნული მაჩვენებლის ნებისმიერი ცვლილების გათვალისწინებით.

### **ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს კომპანია ატარებს შემდეგნაირად.**

- a) ვალდებულებათა უმრავლესობაში (მაგალითად სატრანსპორტო და ჯანმრთელობის დაზღვევის ბიზნესისთვის) ასანაზღაურებელი ზარალებისათვის გადამზღვეველის წილის, სუბროგაციისა და კომპენსაციის გამოკლებით, ტარდება სტატისტიკური ანალიზი, იმისათვის, რომ დადგინდეს შექნილი რეზერვი საკმარისია (შესაბამისი აქტივების გამოკლებით) თუ არა სამომავლო ზარალებისათვის. თუ რეზერვები არასაკმარისია, ხდება მათი გაზრდა მოგება-ზარალის უწყისის გავლით.
- b) გაუთვალისწინებელი რისკების რეზერვის (გამოუმუშავებელი ანაზღაურების რეზერვი გადავადებული აკვიზიციური ხარჯის გამოკლებით) შესაფასებლად კეთდება აქტუარული გათვლები მომავალი ზარალიანობის კოეფიციენტის შესაბამისად არსებულ, ძალაში მყოფ კონტრაქტებზე. თუ მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტი უჩვენებს, რომ გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს გამოკლებული გადავადებული აკვიზიციური ხარჯი არაადეკვატურია, ხდება გადავადებული აკვიზიციური ხარჯის შემცირება, და საჭიროების შემთხვევაში, გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის გაზრდა ადეკვატურ დონემდე.

## 19 სესხები

			2015 ლარი'000	2014 ლარი'000	
სესხი TBIH-სგან			13,531	13,297	
<b>ვადები და პირობები</b>					
2015 '000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	გადახდის წელი	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სესხი TBIH-სგან	ევრო	5%+3 თვე EURIBOR	2021	13,531	-
სესხი TBIH-სგან 1	ევრო	8.0%	2016	-	4,292
სესხი TBIH-სგან 2	ევრო	5%+12 თვე EURIBOR	2015	-	4,886
სესხი TBIH-სგან 3	ევრო	6.265%+6 თვე EURIBOR	2018	-	4,119
				<b>13,531</b>	<b>13,297</b>

2015 წლის 31 აგვისტოს გაფორმდა ახალი სასესხო ხელშეკრულება კომპანიასა და „TBIH Financial Service Group N.V“-ს შორის. ხელშეკრულების თანახმად მოხდა საწესდებო კაპიტალში 1 მილიონი ევროს გადატანა (შენიშვნა 22), ხოლო სესხის დარჩენილი ძირი გაერთიანდა ერთ ახალ სესხად.

## 20 დაზღვევის და გადაზღვევის ვალდებულებები

	2015 '000 ლარი	2014 '000 ლარი
აგენტისა და ბროკერის საკომისიო	163	585
გადასახდელი გადაზღვევის პრემია	5,230	6,601
	<b>5,393</b>	<b>7,186</b>

21 გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

გადავადებულ გადასახადებზე მოქმედი საგადასახადო განაკვეთი იყო 15% (2014: 15%).

(a) მოძრაობა დროებით სხვაობებში საანგარიშო წლის განმავლობაში:

'000 ლარი	ბალანსი 2015 წლის 1 იანვრისთვის	აღიარებული მოგება / ზარალის ანგარიშგებაში	ბალანსი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის
<b>აქტივები</b>			
ქონება და აღჭურვილობა	214	(143)	71
გადავადებული აკვიზიციური ხარჯი	(156)	11	(145)
სხვა აქტივები	358	(94)	264
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	969	40	1,009
დაზღვევისა და გადაზღვევის გადასახდელები	(50)	(3)	(53)
სხვა ვალდებულებები	18	(2)	16
საგადასახადო ზარალის გადატანა მომავალ პერიოდებზე	554	(146)	408
საინვესტიციო ქონება	332	(118)	214
<b>ნეტო საგადასახადო აქტივები</b>	<b>2,239</b>	<b>(455)</b>	<b>1,784</b>

'000 ლარი	ბალანსი 2014 წლის 1 იანვრისთვის	აღიარებული მოგება / ზარალის ანგარიშგებაში	ბალანსი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის
<b>აქტივები</b>			
ქონება და აღჭურვილობა	372	(158)	214
გადავადებული აკვიზიციური ხარჯი	(72)	(84)	(156)
სხვა აქტივები	468	(110)	358
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	939	30	969
დაზღვევისა და გადაზღვევის გადასახდელები	(69)	19	(50)
სხვა ვალდებულებები	14	4	18
საგადასახადო ზარალის გადატანა მომავალ პერიოდებზე	473	81	554
საინვესტიციო ქონება	461	(129)	332
<b>ნეტო საგადასახადო აქტივები</b>	<b>2,586</b>	<b>(347)</b>	<b>2,239</b>

(b) არ აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები

კომპანიის საგადასახადო ზარალის გადატანა მომავალ პერიოდებზე შედგება:

'000 ლარი	2015	2014
2017	472	472
2019	82	82
2020	245	-
	<b>799</b>	<b>554</b>

2015 წლის 31 დეკემბერს, გადავადებული საგადასახადო აქტივი 391 ათასი ლარის ოდენობით (შენიშვნა 10), არ იქნა აღიარებული, ვინაიდან არ არის მოსალოდნელი, რომ სამომავლო დასაბეგრი მოგებით დაიფარება ძველი საგადასახადო ზარალი.

## 22 კაპიტალი

### (a) საწესდებო კაპიტალი

2015 წლის 24 ნოემბერს კომპანიამ შეიცვალა იურიდიული ფორმა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ნაცვლად, რომლის საწესდებო კაპიტალი არ იყო დაყოფილი აქციებად, გახდა სააქციო საზოგადოება, რომლის სააქციო კაპიტალიც შეადგენდა 11,916,250 აქციას, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ დროდადრო მიიღონ დივიდენდი.

2015 წლის აგვისტოში, მშობელი კომპანიის სესხიდან 1 მილიონი ევრო (2511 ათასი ლარი) გადატანილი იქნა საწესდებო კაპიტალში (იხილეთ შენიშვნა 19).

### (b) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები ლიმიტირებულია ფასს-ის მიხედვით მომზადებულ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ გაუნაწილებელი მოგების ოდენობით.

2015 წლის მანძილზე არ ჰქონია ადგილი დივიდენდების გაცხადებას ან მის გადახდას.

## 23 ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვა სადაზღვევო ბიზნესის საფუძველია და იგი კომპანიის ოპერაციებში უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს. ძირითადი რისკები, რომლებიც „კომპანიის“ წინაშე დგას, დაკავშირებულია საბაზრო რისკებთან, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავენ საპროცენტო და სავალუტო რისკებს, ასევე საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს.

### (a) რისკის მართვის პოლიტიკები და პროცედურები

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია, მოახდინოს იმ რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, რომელთა წინაშეც დგას კომპანია, ასევე შექმნას შესაბამისი რისკის ლიმიტები და აწარმოოს რისკის ოდენობების კონტროლი და მუდმივი მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განხილვა ხდება რეგულარულად რათა აისახოს ცვლილებები, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს საბაზრო პირობებში, შეთავაზებულ პროდუქციასა და მომსახურებაში და ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკაში. კომპანია სატრენინგო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების ფარგლებში, ცდილობს შექმნას დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც ყველა თანამშრომელი შესძლებს საკუთარი ფუნქციებისა და ვალდებულებების გაგებას. მენეჯმენტი ასევე ცდილობს ჩაერთოს სავალუტო ფორვარდულ კონტრაქტებში, სავალუტო რისკების მინიმიზებისთვის (იხ. შენიშვნა 23(d)).

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს აქვს საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის სტრუქტურის ზედამხედველობაზე. კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია ძირითადი რისკების მართვაზე, რისკის მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაზე და მაკონტროლებელ პროცედურებზე, ასევე რისკის მოცულობების განსაზღვრასა და დამტკიცებაზე.



შიდა და გარე რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება და მართვა ხორციელდება მთელი კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკის რუკების შედგენას, რომლებიც გამოიყენება რისკის სრული სპექტრის დადგენისა და წარდგენისთვის ერთგვარი საფუძვლის შესაქმნელად, მიმდინარე რისკის შემცირების პროცედურებისთვის.

**(b) საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი წარმოადგენს რისკს იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს, ისეთი საბაზრო ფასების ცვლილების გამო, როგორც არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსები და საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს და საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებულ რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშვება საპროცენტო განაკვეთის ღია პოზიციებიდან, სავალუტო და კაპიტალის ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც ექვემდებარება საერთო და სპეციალური ბაზრის მოძრაობებს და ცვლილებებს ბაზრის ფასების არასტაბილურობის დონეზე.

საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების მართვა და კონტროლი, მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკიდან გამომდინარე ამონაგების ოპტიმიზაციის გზით.

**(c) საპროცენტო განაკვეთის რისკი**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოდგენილია კომპანიის საპროცენტო აქტივები და ვალდებულებები 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი შესაბამისი საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები მოცემული დღისთვის.

	ღირებულება 2015 '000 ლარი	საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 2015 '000 ლარი	ღირებულება 2014 '000 ლარი	საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 2014 '000 ლარი
<b>საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივები</b>				
<i>გაცემული სესხი</i>				
- ლარი	16	17%	18	17%
<i>ბანკებში განთავსებული თანხები</i>				
- ლარი	409	10%	396	9%
- ევრო	3,690	5%	3,798	5%
<b>საპროცენტო ვალდებულებები</b>				
<i>სესხები</i>				
- ევრო	13,531	6%	13,297	7%

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის რისკი, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის შედეგებზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

კომპანიის დაგეგმილი ნეტო შემოსავლის და კაპიტალის სენსიტიურობის ანალიზი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე ეფუძნება საპროცენტი მრუდის ყველა მონაკვეთზე საპროცენტო განაკვეთის 100 ერთეულით (bp) სიმეტრიული ვარდნის ან ზრდის გამარტივებულ სცენარს. 2015 წლის 31 დეკემბრისა და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული პროცენტთან აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<b>აქტივები</b>	<b>2015</b>	<b>2014</b>
	<b>ლარი'000</b>	<b>ლარი'000</b>
100 bp პარალელური ზრდა	35	36
100 bp პარალელური კლება	(35)	(36)
<b>ვალდებულებები</b>	<b>2015</b>	<b>2014</b>
	<b>ლარი'000</b>	<b>ლარი'000</b>
100 bp პარალელური ზრდა	(115)	(113)
100 bp პარალელური კლება	115	113
<b>ნეტო</b>	<b>2015</b>	<b>2014</b>
	<b>ლარი'000</b>	<b>ლარი'000</b>
100 bp პარალელური ზრდა	(80)	(77)
100 bp პარალელური კლება	80	77

**(d) სავალუტო რისკი**

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები წარმოშობენ სავალუტო რისკს. იმ შემთხვევაში, თუ ერთ ვალუტაში დენომინირებული აქტივების და ვალდებულებები ერთმანეთს არ ემთხვევა, წარმოიქმნება ღია სავალუტო პოზიცია და კომპანია აღმოჩნდება კურსის ცვლილებით გამოწვეული პოტენციური რისკების წინაშე.

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია მუდმივად აწარმოოს გაცვლითი კურსების ცვლილების დინამიკის და უცხოური ვალუტის ბაზრის მონიტორინგი. მის მიზანს წარმოადგენს სავალუტო პოზიციების დახურვა და იმის უზრუნველყოფა, რომ ღია სავალუტო პოზიციები ყოველთვის დარჩეს ლიმიტის ფარგლებში.

სავალუტო რისკის შესამცირებლად რისკის მენეჯმენტის ფარგლებში, კომპანია იყენებს ფორვარდულ კონტრაქტს. შესაბამისად, ყოველი ფინანსური წლის დასაწყისში კომპანია აფორმებს ასეთ კონტრაქტს - ნომინალური ღირებულებით 3,5 მილიონი ევრო იმისათვის, რომ დახუროს ევროს ღია სავალუტო პოზიცია. ამგვარი კონტრაქტის მოქმედების ვადა განისაზღვრება ყოველი საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია აქტივების და ვალდებულებების სავალუტო სტრუქტურა 2014 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	ლარი '000 ლარი	აშშ დოლარი '000 ლარი	ევრო '000 ლარი	სულ '000 ლარი
<b>აქტივები</b>				
სხვა აქტივები	1,776	986	-	2,762
გაცემული სესხები	16	-	-	16
სადაზღვევო მოთხოვნები	4,530	8,830	220	13,580
ბანკებში განთავსებული თანხები	427	-	3,808	4,235
ფული და მისი ეკვივალენტები	502	6	342	850
გადამზღვეველის წილი სადაზღვევო რეზერვებში	10,940	3,024	46	14,010
<b>სულ აქტივები</b>	<b>18,191</b>	<b>12,846</b>	<b>4,416</b>	<b>35,453</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სადაზღვევო რეზერვები	21,945	3,330	58	25,333
დაზღვევისა და გადაზღვევის ვალდებულებები	106	5,287	-	5,393
სხვა ვალდებულებები	440	62	126	628
სესხები	-	-	13,531	13,531
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>22,491</b>	<b>8,679</b>	<b>13,715</b>	<b>44,885</b>
<b>ნეტო პოზიცია 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(4,300)</b>	<b>4,167</b>	<b>(9,299)</b>	<b>(9,432)</b>
<b>ნეტო პოზიცია 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(1,834)</b>	<b>809</b>	<b>(9,336)</b>	<b>(10,361)</b>

კომპანიის დაგეგმილი ნეტო მოგების და კაპიტალის სენსიტიურობის ანალიზი მოცემული წლისთვის ეფუძნება აშშ დოლარისა და ევროს 10%-იანი ცვლილების გამარტივებულ სცენარს ქართულ ლართან მიმართებაში და 2015 წლის 31 დეკემბრისა და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2015 ლარი'000	2014 ლარი'000
10% აშშ დოლარის მატება ლართან მიმართებაში	354	69
10% აშშ დოლარის კლება ლართან მიმართებაში	(354)	(69)
10% ევროს მატება ლართან მიმართებაში	(790)	(794)
10% ევროს კლება ლართან მიმართებაში	790	794

**(e) საკრედიტო რისკი**

კომპანია ახდენს გარკვეული რისკების გადაზღვევას გადამზღვევ კომპანიებთან. გადამზღვევი კომპანიების შერჩევის პროცესი ეფუძნება კრიტერიუმებს, რომლებიც დაკავშირებულია გადახდისუნარიანობასა და საიმედოობასთან, ასევე, მეტ-ნაკლებად, დივერსიფიკაციასთან (რისკის განაწილება კონტრაგენტებს შორის).

კომპანიას ასევე აქვს სხვა მოთხოვნები, რომლებიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მოთხოვნებში არის მისაღები პრემიები. იმისათვის, რომ შემცირდეს სადაზღვევო პოლისების მფლობელების მიერ თანხების გადაუხდელობის რისკი, ყველა გაცემული პოლისი მოიცავს გარკვეულ დებულებებს, რომელთა მიხედვითაც პოლისი უქმდება დადგენილი დღისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში. საკრედიტო რისკი, ასევე, შეიძლება შემცირდეს ანდერატიონგის მკაცრი კრიტერიუმების მეშვეობით. საბანკო დეპოზიტების საკრედიტო რისკის შესამცირებლად, კომპანია ახდენს საკუთარი სახსრების ინვესტირებას წამყვან ქართულ ბანკებში.

კომპანია უწყვეტად ახორციელებს საკრედიტო რისკის მონიტორინგს.

**(f) ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მის წინაშე მდგარი ვალდებულებების გასასტუმრებლად თანხების მოზიდვაში. ლიკვიდურობის რისკი დგება როდესაც არ ემთხვევა აქტივების და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის და საპროცენტო განაკვეთების თანხვედრა და/ან კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტების, მათ შორის კომპანიის, მართვის საფუძველს. ფინანსური ინსტიტუტებისათვის საკმაოდ იშვიათი და უჩვეულოა აქტივებისა და ვალდებულებების სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა, ვინაიდან წარმოებული ოპერაციები, ხშირ შემთხვევაში, ხასიათდება გაურკვეველი ვადითა და განსხვავებული ხასიათით. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის შემოსავალს, მაგრამ ასევე შესაძლოა სახეზე გვქონდეს რისკით გამოწვეული ზარალი.

კომპანია ახდენს ლიკვიდურობის მართვას, რათა უზრუნველყოს თანხების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს ვალდებულებების დაფარვისათვის ფულადი ნაკადების უზრუნველყოფის მიზნით. კომპანიის მენეჯმენტი ლიკვიდურობის პოზიციებს ყოველდღიურად განიხილავს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განსაზღვრულია ფინანსური ვალდებულებების არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები გადახდის უახლოესი ვადის მიხედვით. ქვემოთ მოცემული მთლიანი ფულადი გადინებები, წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებებზე გადასახდელ სახელშეკრულებო, არა დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

'000 ლარი	1 წელზე ნაკლები	1-დან 6 წლამდე	6 წელზე მეტ	ბრუტო თანხის გადინება	საბალანსო ღირებულება
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
სესხები	-	17,257	-	17,257	13,531
დაზღვევისა და გადაზღვევის გადასახდელები	5,393	-	-	5,393	5,393
სხვა ვალდებულებები	628	-	-	628	628
<b>31 დეკემბერი, 2015 წ.</b>	<b>6,021</b>	<b>17,257</b>	-	<b>23,278</b>	<b>19,552</b>
<b>31 დეკემბერი, 2014 წ.</b>	<b>12,977</b>	<b>10,024</b>	-	<b>23,001</b>	<b>21,270</b>

მენეჯმენტის შეფასებით, სადაზღვევო ვალდებულებებიდან ფულადი ნაკადების გასავლის ვადიანობა არ აღემატება ერთ წელს.

**(გ) ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება**

კომპანიის შეფასებით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება მატერიალურად არ განსხვავდება მათი მიმდინარე ღირებულებებისაგან.

**24 კაპიტალის მართვა**

ადგილობრივი სადაზღვევო ზედამხედველი ადგენს კაპიტალის მოთხოვნებს სადაზღვევო კომპანიებისათვის. ეს მოთხოვნები განკუთვნილია საკმარისი გადახდისუნარიანობის ზღვრების უზრუნველსაყოფად. კომპანიას განზრახული აქვს შეასრულოს ეს მოთხოვნები. მთლიანი კაპიტალი არ უნდა იყოს 1.5 მილიონ ლარზე ნაკლები და კომპანიას უნდა ჰქონდეს ამ თანხის სულ მცირე 80% ფულის და ფულის ეკვივალენტის სახით, რაც 1.2 მილიონ ლარს უდრის.

კომპანია რეგულარულად მართავს კაპიტალის მოთხოვნებს, საანგარიშო და მინიმალურ კაპიტალს შორის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად. კაპიტალის სტრუქტურის უზრუნველსაყოფად კომპანიას შეუძლია შეცვალოს ანაზღაურებული დივიდენდების თანხა ან

გაზარდოს მომავალი კაპიტალი.

ფინანსური ანგარიშგების პერიოდების განმავლობაში კომპანია სრულ შესაბამისობაში იყო დადგენილი კაპიტალის მოთხოვნებთან და მის ვალდებულებებში, პოლიტიკებსა და პროცესებში, გასულ წელთან შედარებით არ მომხდარა არავითარი ცვლილება.

## **25 პირობითი ვალდებულებები**

### **(a) სასამართლო დავები**

საქმიანობის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში კომპანია მონაწილეობს სასამართლო დავებში, რომლებიც ძირითადად უკავშირდება ზარალებს და სუბროგაციულ მოთხოვნებს. ანგარიშგების თარიღისთვის არ მიმდინარეობს რაიმე მნიშვნელოვანი სასამართლო დავა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

### **(b) საგადასახადო განუსაზღვრელობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია ექვსი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### **(c) სესხებთან დაკავშირებული ვალდებულებები**

2015 წლის 20 დეკემბრისთვის კომპანია, დაკავშირებულ მხარეებთან ერთად, გახდა სასესხო შეთანხმების მონაწილე, რომლის თანახმადაც კომპანია იძლევა გარანტიას, რომ დაფარავს სესხს საბალანსო ღირებულებით 16,399 ათასი ევრო, იმ შემთხვევაში თუ შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

არსებული სასესხო ვალდებულება აღირიცხება იმ მაქსიმალურ ზარალის ოდენობით, რომელიც აღიარებული იქნება ანგარიშგების თარიღისთვის თუ მხარეები საერთოდ ვერ შეასრულებენ კონტრაქტის პირობებს.

2015 წლის 31 დეკემბრისთვის არცერთი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი არ დაფიქსირებულა და, მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მხარეებს შორის შეთანხმებული საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა დაბალია. შესაბამისად, ანარიცხების აღიარებას ადგილი არ ჰქონია.

## 26 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

### (a) საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის მშობელ კომპანიას წარმოადგენს „TBIH Financial Services Group N.V.“, რომელიც კონტროლდება ვენის „VIENNA INSURANCE GROUP AG Wiener Versicherung Gruppe“-ის მიერ. კომპანიის მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს „Wiener Stadtische Wechselseitiger Versicherungsverein-Vermögensverwaltung“-ვენის სადაზღვევო ჯგუფი, ვენა.

### (b) სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველთა საბჭოს წევრების ტრანზაქციები

სამეთვალყურეო საბჭოს და მმართველთა საბჭოს მთლიანი ანაზღაურება ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2015 '000 ლარი	2014 '000 ლარი
სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრები	432	398
ხელფასებთან დაკავშირებული გადასახადები	108	80
<b>მთლიანი ანაზღაურება</b>	<b>540</b>	<b>478</b>

### (c) ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს ტრანზაქციებს მეკავშირე კომპანიებთან და კომპანიებთან, რომლებიც უკავშირდებიან კომპანიის დამფუძნებელ კომპანიას.

არსებული ნაშთები 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

	2015 '000 ლარი	2014 '000 ლარი
<b>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</b>		
<b>აქტივები</b>		
სხვა აქტივები (მეკავშირე და დამფუძნებლის სხვა დამფუძნებლის სხვა შვილობილი კომპანია)	221	393
სადაზღვევო მოთხოვნები (დამფუძნებლის სხვა შვილობილი კომპანია)	347	167
სხვა შემოსავალი (დამფუძნებლის სხვა შვილობილი კომპანია)	560	37
<b>ვალდებულებები</b>		
სესხები (დამფუძნებელი)	13,531	13,297
დაზღვევისა და გადაზღვევის გადასახდელები (დამფუძნებლის სხვა შვილობილი კომპანია)	739	3,390
დაზღვევისა და გადაზღვევის გადასახდელები (შუალედური დამფუძნებელი)	528	1,243
დაზღვევისა და გადაზღვევის გადასახდელები (მეკავშირე კომპანია)	48	436

	2015 <u>'000 ლარი</u>	2014 <u>'000 ლარი</u>
<b>მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება</b>		
ბრუტო მოზიდული პრემია (დამფუძნებლის დამფუძნებლის სხვა შვილობილი და მეკავშირე კომპანია)	166	212
გადაზღვევის პრემია (დამფუძნებლის სხვა შვილობილი კომპანია)	365	(5,125)
საპროცენტო ხარჯი (დამფუძნებელი და შუალედური დამფუძნებელი)	(759)	(844)
მოზიდული პრემია (მეკავშირე კომპანია)	-	30
დამდგარი ზარალები (მეკავშირე კომპანია)	(3,667)	(16,310)
დამდაგარი ზარალები (დამფუძნებლის სხვა შვილობილი კომპანია)	(38)	(42)
გადაზღვევის პრემია (შუალედური დამფუძნებელი)	(1,148)	(485)
სხვა შემოსავალი (შუალედური დამფუძნებელი)	82	(99)
სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი (დამფუძნებლის სხვა შვილობილი კომპანია)	850	(452)
შემოსავალი იჯარიდან (დამფუძნებლის სხვა შვილობილი კომპანია)	240	202

## 27 მოვლენები საანგარიშგებო თარიღის შემდეგ

### (a) ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზაობა რომ გადავიდეს კორპორატიული დაბეგვრის ეგრეთწოდებულ ესტონურ მოდელზე, რაც გულისხმობს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. ცვლილება პარლამენტს წარედგინება მომდევო 2-3 თვის განმავლობაში. აღნიშნულ ცვლილებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების საგადასახადო მოგებაზე. დღეს არსებული რედაქციით, ახალი კორპორატიული დაბეგვრის სისტემა არ გავრცელდება არაკომერციულ ორგანიზაციებზე და შემდეგ საფინანსო ინსტიტუტებზე: ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები. მთავრობა გეგმავს, რომ კანონი ძალაში შევიდეს საგადასახადო პერიოდებისთვის 2016 წლის 1 ივლისიდან.